# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 49 ოთხშაბათი, 25 ენკენისთვე 1918 წ. № 49


ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

---

## სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. ნ. ლ. ლევიცკის დირექცია.

ოთხშაბათს, 25 ენკენისთვეს 1918 წ.

ოპ. 5 მოქ. მუს. გუნოსი. **„ფ ა უ ს ტ ი“** თარგ. ს. მარკოვისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვოლ. ლევიცკისა, მოროზოვისა, ოვსიანიკოვა; ბ-ნნი: ზალიპსკი, ნიკოლსკი, ინაევი, ეზროვი. დირიჟორი ცენოვსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კასა ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის ბოლომდე. ა ნ ო ნ ს ი: ხუთშაბათს, 26 ენკენისთვეს—„ცარსკაია ნევესტა“. პარასკევს, 27 ენკენისთვეს—„პიკოვაია დამა“.

---

## საქართველოს რესპუბ. ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოება

მოაგონებს წევრებს, რომ ქალაქში მცხოვრებ წევრების წიგნაკების რეგისტრაცია გაგრძელდება ოქტომბრის პირველამდე. აღნიშნულ ვადის შემდეგ რეგისტრაცია შესწყდება და ურეგისტრაციო წიგნაკებით საქონელს არ მისცემენ. წიგნაკების რეგისტრაცია ხდება საზოგადოების კანტორაში (კირკის ქუჩა, № 7) დილის 10 ს.—დღის 2 საათამდე. სხვა ქალაქებში მცხოვრებ წევრთა წიგნაკების რეგისტრაცია მოხდება აღნიშნულ ვადის შემდეგაც.

მთავრობის კომისია.

გამგეობა.

---

## განცხადება

ტრამვაის ვაგონის წინა ბაქანზე შეიძლება 4 მოგზავრი ნაყიდი ან მუდმივი ბილეთებით, მეხუთე ადგილი კი ეკუთვნის მხოლოდ: 1. იმ პირთ, რომელთაც აქვთ ტრამვაის დირექციის ხელმოწერილი ბილეთები, რომ მეხუთეთ მგზავრობის უფლება აქვთ, ან და განსაკუთრებული შენიშვნა მუდმივ ბილეთზე. 2. ქალაქის მილიციონერებს, რომლებსაც აქვთ სათანადო მოწმობა სურათით. 3. ფოსტის დამტარებლებს, რომელთაც თან აქვთ ჩანთა და სამსახურის მოწმობა სურათით. უკანასკნელ ორ კატეგორიის პირთ იმგზავრონ ბაქანზე თითომ, საფეხურზე დგომა კი აკრძალულია. მეექვსე მგზავრი წინა ბაქანზე სულ არ შეიძლება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ქალაქის მილიციის მოსამსახურეები, რომელთაც უფასო მგზავრობის უფლება აქვთ შემდეგი არიან: კომისრები, მათი თანაშემწენი, უფროსი და უმცროსი მილიციონერი, გზირები; დანარჩენი მოსამსახურეები, მაგ.: საქმის მწარმოებლები, მწერლები, მბეჭდავები, კომისარიატების დამსუფთავებლები და სხვ. უფასოდ ვერ იმგზავრებენ.

მილიციონერები და ფოსტის დამტარებლები ნორმაზე მეტი ე. ი. წინა ბაქანზე ერთ კაცზე მეტი, თუ იმგზავრებენ, აგრეთვე შიგ ვაგონში, ან უკანა ბაქანზე ფული უნდა გადაიხადონ. კომისრებს კი და მის თანაშემწეებს უფლება აქვთ იმგზავრონ შიგ ვაგონში.

წითელ გვარდიელები და მფრინავი რაზმის წევრები იმგზავრებენ უფასოდ, თუ ექნებათ განსაკუთრებული მოწმობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ისინი მიდიან სამსახურის საქმეზე.

ტფილისის ქალაქის თვითმმართველობა.

---

## თამარ-მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიაში

(«განათლების» საზოგადოების ყოფილი სემინარია)

მისაღები გამოცდა დაიწყება პარასკევს, სექტემბრის 27-ს, განმეორებით გამოცდა ორშაბათს, ენკენისთვის 30, ხოლო სწავლა ორშაბათს, ოქტომბრის 2-ს. ბინა სემინარიისა ყოფილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში, ახალ ბებუთოვის ქ., № 6. 489 2—2

---

მე II-ე წელ. **ვაჟთა და ქალთა გიმნაზია** მე II-ე წელ.

## ნ. ზ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

**ქ ს ე ნ ი ა ს ქ., № 11.**

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

1917/18 წლის გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავების პირველად.

50—23 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

---

## ტფილისის ქალთა II გიმნაზიაში

იხსნება ქართული კლასები: I, II, III, IV და აგრეთვე უმცროსი და უფროსი განყოფილებანი. ზემოხსენებულ კლასებში თხოვნების მიღება გრძელდება.

---

## კურსები ახალი ენებისა

(ფრანგული, გერმანული და ინგლისური).

ა) პირველ-დაწყებითი კურსი. ბ) კურსი ენების ცოტათი მცოდნეთათვის. გ) სპეციალური კურსი გამოცდების მოსამზადებლად, რომლის შემდეგ უფლება ექნება სასწავლებელში ახალი ენების სწავლებისა. დ) პრაქტიკული კურსი (ლაპარაკი). ჩაწერა და ცნობების მიღება ყოველ დღე 5—6 ს. მიხეილის პრ., № 40, ტელეფ. № 11—67. სდგება ახალი ჯგუფები. მეცადინეობა საღამობით.

კურსების დამაარსებელი ნ. კონგეჟხკაია.

---

## განცხადება

საუღელტეხილო ელექტრონის რკინის გზის ამხანაგობის გამგეობა აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს 1918 წ. (ახ. სტ.), დილის 11 საათზე, გამგეობის ბინაზე (ქსენიის ქ., № 11) დანიშნულია ამხანაგობის წევრების წლიური საზოგადო კრება. განსახილველია: 1) გამგეობის წლიური ანგარიში. 2) სარევიზიო კომისიის არჩევა. 3) ახალი წევრების მიღება. 4) გამგეობის ერთი წევრის არჩევა და 5) სესხის აღება კონცესიის მიღების დროს თუ წარმოდგენილი იქნება ბე.

---

## კავკასიის ბანკის გამგეობა

აუწყებს ბ. ბ. აქციონერებს, რომ აქციებისა და დროებითი მოწმობების მიღება, რაიც უნდა წარედგინოს საგანგებო საზოგადო კრებას, რომელიც კვირას, 6 ოქტ. 1918 წ. არის დანიშნული, შეწყდება შაბათს ამ წლის 28 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 1 საათზე.

---

## მომხმარებელ საზოგადოების „დახმარების“ გამგეობა

ამით აცხადებს, რომ წევრთა ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა დანიშნულია სამშაბათს, ღვინობისთვის 1-ლს (ახალის სტილით) საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში. კრების წესრიგი: 1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების წარსულ და მომავალ მოქმედების შესახებ; 2) 1917 წლის ანგარიში და მოგების განაწილება; 3. 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 4. მორიგი საქმეები (სხვათა შორის, წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა); 5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. კრებაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ მათ, ვისაც, 1918 წლის აპრილის 4-ის კრების დადგენილებისამებრ, წარმოდგენილი აქვთ 55 მანეთი საწევრო გადასახადი და პაის ფული და წევრებად მიღებულნი არიან გამგეობის მიერ. უკეთუ დანიშნული კრება ღვინობისთვის 1-ს ვერ გაიმართა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, იმ შემთხვევაში კვირას, ღვინობისთვის 13-ს (ახალის სტილით) იმავ ადგილას გაიმართება მეორე ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა. უწყებები არც ერთ კრებისთვის არ დაიგზავნება. 1917 წლის ანგარიში ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო არ იბეჭდება, მაგრამ გამოფენილია საზოგადოების ორსავ მაღაზიაში და საზოგადოების წევრებს მუდამ შეუძლიანთ მისი წინასწარი განხილვა, აგრეთვე ყოველგვარ ცნობების, საბუთების და წიგნების წარდგენის მოთხოვნა გამგეობის კანტორაში.

---

## განცხადება
## ტფილისის მაზრის სამხედრო ბეგრის უფროსისა.

ჩემის წინანდელ განცხადების დამატებად ვაცხადებ, რომ ის, ვინც ომის დაწყებამდე, 1914 წ. ივლისის 19, მიწერილი იყო საქართველოს ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულზე, ითვლება საქართველოს მოქალაქეთ და ვალდებულია სამხედრო ბეგარა მოიხადოს საქართველოში.

უკანასკნელი ვადა ყველა გაწვეულ მოქალაქეთა გამოცხადებისა ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში დანიშნულია ენკენისთვის 31. ვინც ამ რიცხვში არ გამოცხადდება, დეზერტირად ჩაითვლება და გასამართლებულ იქნება სამხედრო სამართლით, როგორც დეზერტირი.

---

გამოვიდა და იყიდება

უნივერსიტეტის

და

თეატრის

## 5.000.000 მან.

## ლოტარიის ბილეთები

ბილეთი ღირს 25 მან.

პირველი მოგება 100.000 მან.

ბილეთები იყიდება იქ, საცა გამოცხადებულია.

412 60—7

---

## ოფიციალური განყოფილება

### კ ა ნ ო ნ ი

სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნებისა.

ა. გაუქმდეს ტფილისის ინსტიტუტის და გორის სემინარიის აწინდელი ეროვნული განყოფილებანი.

ბ. გამოცხადდეს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორისა, ხონისა და სოხუმის სემინარიები ქართულ სახელმწიფო სკოლებად.

გ. გაიხსნას სოხუმის სემინარიასთან აფხაზური განყოფილება.

დ. მიეცეს ოთხსავე სკოლას კრედიტი სახელმწიფოს ხაზინიდან თანახმად აქვე დართულ ხარჯთ-აღრიცხვისა.

1918 წ. სექტემბრის 13.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

# შტატი

## ტფილისის საოსტატო ინსტიტუტისა და 1918 წ. ხარჯთაღრიცხვა.

| №№ რიგზე. | თანამდებობა და საგანი ხარჯისა. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | ჯამაგირის რაოდენობა. წლიურად. მან. | კ. | პირველ სექტემბრიდან მიმდინარე წლის დამლევ. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | § 7 მუხ. 4. | | | | | |
| | დიტ. ა. მოსამსახურე პირთა ჯამაგირი. | | | | | |
| 1 | დირექტორს | 1 | 3600 | — | 1200 | — |
| | მასვე, თუ 6 გაკვეთილი აქვს | — | 900 | — | 300 | — |
| 2 | ინსტიტუტის შტატის მასწავლებელს | 6 | 10800 | — | 3600 | — |
| | მათვე და შტატგარეშე მასწავლებლებს დამატებითი გაკვეთილების (150 მ. ×84) | — | 12600 | — | 4200 | — |
| 3 | ხატვა-ხაზვის მასწავლებელს ინსტიტუტში და პირველდაწყებითი უმაღლეს სასწავლებელში | 1 | 1500 | — | 500 | — |
| 4 | ფიზიკის და სხვა საგნების ლაბორანტს | 1 | 1200 | — | 400 | — |
| 5 | გალობის და მუსიკის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 400 | — |
| 6 | ფიზიკური ვარჯიშობის მასწავლებელს | 1 | 900 | — | 300 | — |
| 7 | უმაღლეს პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებელთ. | 4 | 4800 | — | 1600 | — |
| | მათვე დამატებითი გაკვეთილებისა (29×60) | — | 1740 | — | 580 | — |
| 8 | ექიმს | 1 | 600 | — | 200 | — |
| | მასვე ჰიგიენის ერთის გაკვეთილისა | — | 150 | — | 50 | — |
| 9 | გადამწერს | 1 | 900 | — | 300 | — |
| 10 | შენობის მეთვალყურობისათვის. | — | 300 | — | 100 | — |
| 11 | საბჭოს მდივანს | 1 | 240 | — | 80 | — |
| 12 | ბიბლიოთეკის გამგეს | 1 | 240 | — | 80 | — |
| 13 | ხელგარჯილობის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 400 | — |
| 14 | ხელგარჯილობის მასწავლებლის თანაშემწეს | 1 | 1050 | — | 350 | — |
| 15 | ეროვნულ საგანთა მასწავლებელთ | 3 | 5400 | — | 1800 | — |
| 16 | სახლის ქირა | — | 7387 | 50 | 2462 | 50 |
| | ჯ ა მ ი | — | 56707 | 50 | 18902 | 50 |
| | დიტ. ბ. სასწავლო ნაწილი. | | | | | |
| 17 | ბიბლიოთეკის შესავსებად | — | 1000 | — | 333 | 33 |
| 18 | საბუნებისმეტყველო-ისტორიულ კაბინეთისათვის. | — | 3000 | — | 1000 | — |
| 19 | ქიმიურ ლაბარატორიის გასამართავად | — | 3000 | — | 1000 | — |
| 20 | ფიზიკურ კაბინეთის განახლებისათვის | — | 2000 | — | 666 | 06 |
| 21 | სასწავლო ნივთები | — | 1500 | — | 500 | — |
| 22 | ხელგარჯილობის კლასის მასალა და საჭირო-ინსტრუმენტების განახლება | — | 1500 | — | 500 | — |
| | ჯ ა მ ი | — | 12000 | — | 3999 | 99 |
| | დიტ. გ. მოწაფეთა შესანახავად. | | | | | |
| 23 | 60 სახელმწიფო სტიპენდიანტი-წელიწადში თვითეულს 600 მან. | — | 36000 | — | 12000 | — |
| | ჯ ა მ ი | — | — | — | — | — |
| | დიტ. დ. სამეურნეო ხარჯი. | | | | | |
| 24 | ნავთი (ცენტ. სათბობისათვის (20 გ. დღეში 4 მ. ფ.) | — | 12000 | — | 4000 | — |
| 25 | შეშა ($1^1/_2$ საჟ. თვეში—500 მ. საჟ. $500\times1^1/_2\times5$) | — | 3750 | — | 1250 | — |
| 26 | განათება (ელექტრონი და ნავთი) | — | 1500 | — | 500 | — |
| 27 | მოსამსახურეების ჯამაგირი | — | 6360 | — | 2120 | — |
| 28 | წამალი | — | 1500 | — | 500 | — |
| 29 | გადამწერების შესანახავად და კანცელარიის სხვა ხარჯი | — | 1500 | — | 500 | — |
| 30 | შენობის მცირე რემონტი | — | 2000 | — | 666 | 66 |
| 31 | მოულოდნელი ხარჯი | — | 1000 | — | 333 | 33 |
| | ჯ ა მ ი | — | 29610 | — | 9869 | 99 |
| | მუ-10. | | | | | |
| 32 | ხუთწლეული დამატება | — | 21250 | — | 7083 | 33 |
| | საერთო ჯამი | — | 155567 | 50 | 51855 | 81 |

1918 წ. სექტემბრის 13-ს.
საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

# შტატი

## გორის (ყოფილი ამიერ-კავკასიის) საოსტატო სემინარიისა და 1918 წ. ხარჯთაღრიცხვა.

| №№ რიგზე. | თანამდებობა და საგანი ხარჯისა. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | ჯამაგირის რაოდენობა. წლიურად. მან. | კ. | პირველ სექტემბრიდან მიმდინარე წლის დამლევ. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსამსახურეთა ჯამაგირი. | | | | | |
| | მუ-7 § მუხ. 4, დიტ. ა. | | | | | |
| 1 | დირექტორს | 1 | 3600 | — | 1200 | — |
| | მასვე გაკვეთილებისა. | — | 450 | — | 150 | — |
| 2 | საგნების მასწავლებლებს | 4 | 7200 | — | 2400 | — |
| 3 | კლასის დამრიგებლის თანამდებობის ასრულებისა | 4 | 2400 | — | 800 | — |
| 4 | მოსამზადებელ კლასის მასწავლებელს | 1 | 1800 | — | 600 | — |
| 5 | მოსამზადებელ კლასის დამრიგებლის თანამდებობის ასრულებისა | 1 | 600 | — | 200 | — |
| 6 | მოსამზადებელ კლასების დამატებითი გაკვეთილებისა და გამგეობისა | — | 1110 | — | 369 | 99 |
| | მე-6 პუნქ. განმარტება: | | | | | |
| | ა. დირექტორს. 60 მ. | | | | | |
| | ბ. ხატვისა და წერისა 300 მ. | | | | | |
| | გ. მუსიკისა და გალობისა 300 მ. | | | | | |
| | დ. ფიზიკური ვარჯიშობისა. 150 მ. | | | | | |
| | ე. ხელგარჯილობისა 300 მ. | | | | | |
| | სულ 1110 მ. | | | | | |
| 7 | ადგილობრივ ენების მასწავლებლებს. | 2 | 3600 | — | 1200 | — |
| 8 | ხატვა—ხაზვის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 400 | — |
| 9 | მუსიკისა და გალობის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 400 | — |
| | მასვე ლოტბარობისათვის | — | 600 | — | 200 | — |
| 10 | ხელგარჯილობის მასწავლებელს | 1 | 1050 | — | 350 | — |
| 11 | მეურნეობის მასწავლებელს | 1 | 1800 | — | 600 | — |
| 12 | დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელს | 4 | 3840 | — | 1280 | — |
| 13 | ფიზიკურ ვარჯიშობის მასწავლებელს | 1 | 900 | — | 300 | — |
| 14 | ექიმს | 1 | 600 | — | 200 | — |
| 15 | ჰიგიენის და ავადმყოფთა პირველ დახმარების გაკვეთილებისა | — | 300 | — | 100 | — |
| 16 | ფერშალს | 1 | 600 | — | 200 | — |
| 17 | გადამწერსა და ეკონომს | 1 | 800 | — | 266 | 66 |
| 18 | პედაგოგიურ საბჭოს მდივანს | 1 | 180 | — | 60 | — |
| 19 | სამკითხველოს გამგეს | 1 | 180 | — | 60 | — |
| 20 | ბინის ქირა. | — | 5407 | 50 | 1802 | 50 |
| | ჯ ა მ ი | — | 39417 | 50 | 13139 | 15 |
| | დიტ. ბ. | | | | | |
| 21 | სამკითხველოსა და სასწავლო ნივთებისათვის. | — | 1600 | — | 533 | 33 |
| 22 | ხელგარჯილობის მასალისა და იარაღისათვის | — | 350 | — | 116 | 66 |
| 23 | სამუსიკო ინსტრუმენტების შეძენისა და შეკეთებისათვის. | — | 300 | — | 100 | — |
| 24 | სამეურნეო მასალისა და იარაღისათვის | — | 500 | — | 166 | 66 |
| | ჯ ა მ ი | — | 2750 | — | 916 | 65 |
| | დიტ. გ. | | | | | |
| 25 | მოწაფეთა სტიპენდიებისათვის (80 ძირითად და 20 მოსამზად. კლ.) | — | 30000 | — | 10000 | — |
| | დიტ. დ. | | | | | |
| 26 | სამეურნეო ხარჯი | — | 7200 | — | 2400 | — |
| 27 | კანცელარიის ხარჯი | — | 200 | — | 66 | 66 |
| 28 | ავადმყოფების მზრუნველობისათვის. | — | 300 | — | 100 | — |
| 29 | ბინის ქირა. | — | 6000 | — | 2000 | — |
| | ჯ ა მ ი | — | 13700 | — | 4566 | 66 |
| | § მე-10 მუხ. 1. | | | | | |
| 30 | ხუთწლეული დამატებისათვის | — | 12600 | — | 4200 | — |
| | საერთო ჯამი | — | 98467 | 50 | 32822 | 46 |

1918 წ. სექტემბრის 13.
საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

# შტატი

## ხონის (ყოფილი ქუთაისის) საოსტატო სემინარიისა და 1918 წ. ხარჯთაღრიცხვა.

| №№ რიგზე. | თანამდებობა და საგანი ხარჯისა. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | ჯამაგირის რაოდენობა. წლიურად. მან. | კ. | პირველ სექტემბრიდან მიმდინარე წლის დამლევამდე. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსამსახურეთა ჯამაგირი, | | | | | |
| | მე-7 § მუხ. 4. დიტ. ა. | | | | | |
| 1 | დირექტორს | 1 | 3600 | — | 1200 | — |
| | მასვე გაკვეთილების | — | 450 | — | 150 | — |
| 2 | საგნების მასწავლებლებს | 4 | 7200 | — | 2400 | — |
| 3 | კლასის დამრიგებლის თანამდებობის ასრულებისა | 4 | 2400 | — | 800 | — |
| 4 | მოსამზადებელ კლასის მასწავლებელს | 1 | 1800 | — | 600 | — |
| 5 | მოსამზადებელ კლასების დამრიგებლის თანამდებობის ასრულებისა. | 1 | 600 | — | 200 | — |
| 6 | მოსამზადებელ კლასების დამატებითი გაკვეთილებისა და გამგეობისა, | — | 1110 | — | 369 | 99 |
| | მე-6 პუნქ. განმარტება: | | | | | |
| | ა) დირექტორს 60 მ. | | | | | |
| | ბ) ხატვა-წერის 300 მ. | | | | | |
| | გ) მუსიკა-გალობისა 300 მ. | | | | | |
| | დ) ფიზიკური ვარჯიშობისა 150 მ. | | | | | |
| | ე) ხელგარჯილობისა 300 მ. | | | | | |
| | ს უ ლ 1110 მ. | | | | | |
| 7 | ადგილობრივ ენების მასწავლებლებს | 2 | 3600 | — | 1200 | — |
| 8 | ხატვა-ხაზვის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 400 | — |
| 9 | მუსიკისა და გალობის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 400 | — |
| | მასვე გალობისათვის | — | 600 | — | 200 | — |
| 10 | ხელგარჯილობის მასწავლებელს | 1 | 1050 | — | 350 | — |
| 11 | მეურნეობის მასწავლებელს | 1 | 1800 | — | 600 | — |
| 12 | დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლებს | 4 | 3840 | — | 1280 | — |
| 13 | ფიზიკურ ვარჯიშობის მასწავლებელს | 1 | 900 | — | 300 | — |
| 14 | ექიმს | 1 | 600 | — | 200 | — |
| 15 | ჰიგიენისა და ავადმყოფთა პირველ დახმარების გაკვეთილებისა | — | 300 | — | 100 | — |
| 16 | ფერშალს | 1 | 600 | — | 200 | — |
| 17 | გადამწერს და ეკონომს | 1 | 800 | — | 266 | 66 |
| 18 | პედაგოგიურ საბჭოს მდივანს | 1 | 180 | — | 60 | — |
| 19 | სამკითხველოს გამგეს. | 1 | 180 | — | 60 | — |
| 20 | ბინის ქირა. | | 4282 | — | 1427 | 33 |
| | ჯ ა მ ი | — | 38292 | — | 12763 | 98 |
| | დიტ. ბ. | | | | | |
| 21 | სამკითხველოსა და სასწავლო ნივთებისათვის | | 1600 | — | 533 | 33 |
| 22 | ხელგარჯილობის მასალისა და იარაღისათვის | | 350 | — | 116 | 66 |
| 23 | სამუსიკო ინსტრუმენტების შეძენისა და შეკეთებისათვის. | — | 300 | — | 100 | — |
| 24 | სამეურნეო მასალისა და იარაღისათვის | — | 500 | — | 166 | 66 |
| | ჯ ა მ ი. | — | 2750 | — | 916 | 65 |
| | დიტ. გ. | | | | | |
| 25 | მოწაფეთა სტიპენდიებისათვის (80 ძირით. და 20 მოსამზ. კლას.) | — | 30000 | — | 10000 | — |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ლიტ. დ. | | | | | |
| 26 | სამეურნეო ხარჯი | — | 11200 | — | 3733 | 33 |
| 27 | კანცელარიის ხარჯი | — | 200 | — | 66 | 66 |
| 28 | ავადმყოფების მზრუნველობისათვის | — | 300 | — | 100 | — |
| 29 | ბინის ქირა | — | — | — | — | — |
| | ჯ ა მ ი | — | 11700 | — | 3899 | 99 |
| | § 10. მუხ. 1. | | | | | |
| 30 | ხუთწლეული დამატებისათვის | — | 10400 | — | 3466 | 66 |
| | საერთო ჯამი | — | 93142 | — | 31047 | 28 |

1918 წ. სექტემბრის 13.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# შტატი

## სოხუმის საოსტატო სემინარიისა და 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვა

| №№ რიგზე | თანამდებობა და საგანი ხარჯისა | თანამდებობის პირთა რიცხვი | ჯამაგირის რაოდენობა: წლიურად, მანეთი | კ. | პირველ სექტემბრიდან მიმდინარე წლის დამლევამდე, მანეთი | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **მოსამსახურეთა ჯამაგირი.** | | | | | |
| | მე 7-ე §, მუხ. 4, ლიტ. ა. | | | | | |
| 1 | დირექტორს | 1 | 3600 | — | 1200 | — |
| | მასვე გაკვეთილების | — | 450 | — | 150 | — |
| 2 | საგნების მასწავლებლებს | 4 | 7200 | — | 2400 | — |
| 3 | კლასის დამრიგებლის თანამდებობის ასრულებისა | 4 | 3400 | — | 800 | — |
| 4 | მოსამზადებელ კლასის მასწავლებელს | 1 | 1800 | — | 600 | — |
| 5 | მოსამზადებელ კლას. დამრიგებლის თანამდებობის ასრულებისა | 1 | 600 | — | 200 | — |
| 6 | მოსამზადებელ კლასების დამატებითი გაკვეთილებისა და გამგეობისა | — | 1110 | — | 366 | 66 |
| | მე 6-ე პუნქტ. განმარტება: ა) დირექტორს 60 მ.; ბ) ხატვა-წერის 300 მ.; გ) მუსიკა-გალობისა 300 მ.; დ) ფიზიკური ვარჯიშობისა 150 მ.; ე) ხელგარჯლიობისა 300 მ.; ს უ ლ . . 1110 მ. | | | | | |
| 7 | ადგილობრივ ენების მასწავლებლებს | 2 | 3600 | — | 1200 | — |
| 8 | ხატვა-ხაზვის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 400 | — |
| 9 | მუსიკისა და გალობის მასწავლებელს | 1 | 1200 | — | 400 | — |
| 10 | ხელგარჯილობის მასწავლებელს | 1 | 1050 | — | 350 | — |
| 11 | მეურნეობის მასწავლებელს | 1 | 1800 | — | 600 | — |
| 12 | დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლებს | 4 | 3840 | — | 1280 | — |
| 13 | ფიზიკურ გარჯიშობის მასწავლებელს | 1 | 900 | — | 300 | — |
| 14 | ექიმს | 1 | 600 | — | 200 | — |
| 15 | ჰიგიენისა და ავადმყ. პირვ. დახმ. გაკვეთილებისა | — | 300 | — | 100 | — |
| 16 | ფერშალს | 1 | 600 | — | 200 | — |
| 17 | გადამწერს და ეკონომს | 1 | 800 | — | 266 | 66 |
| 18 | პედაგოგიურ საბჭოს მდივანს | 1 | 180 | — | 60 | — |
| 19 | სამკითხველოს გამგეს | 1 | 180 | — | 60 | — |
| 20 | ბინის ქირა | | 5472 | 50 | 1824 | 16 |
| | ჯ ა მ ი | — | 38882 | 50 | 12960 | 81 |
| | ლიტ. ბ. | | | | | |
| 21 | სამკითხველოსა და სასწავლო ნივთებისათვის | — | 1600 | — | 533 | 33 |
| 22 | ხელგარჯილობის მასალისა და იარაღისათვის | — | 350 | — | 116 | 66 |
| 23 | სამუსიკო ინსტრუმ. შეძენისა და შეკეთებისათვ. | — | 300 | — | 100 | — |
| 24 | სამეურნეო მასალისა და იარაღისათვის | — | 500 | — | 166 | 66 |
| | ჯ ა მ ი | — | 2750 | — | 916 | 65 |
| | ლიტ. გ. | | | | | |
| 25 | მოწაფეთა სტიპენდიების (80 ძირით. და 20 მოსამზადებ. კლას.) | — | 30000 | — | 1000 | — |
| | ლიტ. დ. | | | | | |
| 26 | სამეურნეო ხარჯი | — | 19090 | — | 6863 | 33 |
| 27 | კანცელარიის ხარჯი | — | 200 | — | 66 | 66 |
| 28 | ავადმყოფების მზრუნველობისათვის | — | 300 | — | 100 | — |
| 29 | ბინის ქირა | — | 6000 | — | 2000 | — |
| | ჯ ა მ ი | — | 25590 | — | 8529 | 99 |
| | § 10, მუხ. I. | | | | | |
| 30 | ხუთწლეული დამატებისათვის | — | 3000 | — | 1000 | — |
| 31 | ახლად გახსნილ კლასების მოსაწყობად: | | | | | |
| | მე 4-ე კლასისათვის პანსიონის მოსაწყობად საჭ.: ა) 20 საწოლი თითო . . . 40 მ. 800 მან.; ბ) 20 საბანი „ . . . 40 „ 800 მან.; გ) 20 ლეიბი „ . . . 35 „ 700 მან.; დ) 40 ზეწარი „ . . . 20 „ 800 მან.; ე) 20 ბალიში „ . . 10 „ 200 მან.; ვ) 40 ბალიშ. პირი „ . . . 5 „ 200 მან.; ზ) პირსაბანთა მოსაწყობად . . 700 მან.; ს უ ლ . . . . 4200 მან. | — | 4200 | — | 1400 | — |
| 32 | ორი მოსამზადებელი კლასის ამგვარადვე მოსაწყობად | — | 8400 | — | 2800 | — |
| 33 | პირველ პარალელურ კლასის ამგვარადვე მოსაწყობად | — | 4200 | — | 1400 | — |
| 34 | აფხაზურ მოსამზადებელ კლასისათვის: | | | | | |
| | ა) მოსამზად. კლას. მასწავლებელს | — | 1800 | — | 600 | — |
| | ბ) მასვე კლასის დამრიგებლობისათვის | — | 600 | — | 200 | — |
| | გ) მასვე ბინისათვის | — | 450 | — | 150 | — |
| | დ) დირექტორს | — | 60 | — | 20 | — |
| | ე) ხატვისათვის | — | 300 | — | 100 | — |
| | ვ) გალობისათვის | — | 150 | — | 50 | — |
| | ზ) მუსიკისათვის | — | 150 | — | 50 | — |
| | თ) ხელგარჯილობისათვის | — | 300 | — | 100 | — |
| | ი) ფიზიკური ვარჯიშობისათვის | — | 150 | — | 50 | — |
| | კ) სასწავლო ნივთებისათვის | — | 100 | — | 33 | 33 |
| | ლ) სამეურნეო საჭიროებისათვის | — | 290 | — | 96 | 66 |
| | მ) 20 სტიპენდიისათვის (თითო 300) | — | 6000 | — | 2000 | — |
| | ნ) პარტებისათვის, კარადებისათვის დაფებისა და მაგიდებისათვის | — | 1200 | — | 400 | — |
| 35 | პირველ კლას. პარალელის (აფხაზურ) შესანახავად: | | | | | |
| | ა) ერთი მასწავლებლისათვის | — | 1800 | — | 600 | — |
| | ბ) მასვე კლასის დამრიგებლობისათვის | — | 600 | — | 200 | — |
| | გ) ხატვა—ხაზვისათვის | — | 225 | — | 75 | — |
| | დ) გალობა—მუსიკისათვის | — | 150 | — | 50 | — |
| | ე) ხელგარჯილობისათვის | — | 300 | — | 100 | — |
| | ვ) ფიზიკურ ვარჯიშობისათვის | — | 150 | — | 50 | — |
| | ზ) დამატებითი გასამრჯელო დირექტორს | — | 60 | — | 20 | — |
| | თ) სასწავლო ნივთები, იარაღი, ავადმყოფების მოვლა | — | 500 | — | 166 | 66 |
| | ი) 20 სტიპენდიისათვის (300 მ. თითო) | — | 6000 | — | 2000 | — |
| | ჯ ა მ ი | — | 38435 | — | 12811 | 65 |
| | საერთო ჯამი | — | 138657 | 50 | 46219 | 10 |

1918 წ. სექტემბრის 13.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### ბრძანება
### საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისა.
### № 59.

5 ენკენისთვეს, 1918 წ. ქ. ტფილისი.

დანიშნულიქმნენ: სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის ნაწილის საინჟენერო-სატეხნიკო სექციის სამმართველოში: საინჟენერო-სატეხნიკო სექციის უფროსის თანაშემწეებად შტაბ-ოფიცრებად: ყოფილის რუსის კორპუსის საკორპუსო ინჟენერის სამმართველოს მინდობილობათა შტაბ-ოფიცერი სამხედრო ინჟენერი პოლკოვნიკი პიკული; ყოფილის ქართველთა სასაპიორო ბატალიონის უფროსი პოლკოვნიკი ჟღენტი; ყოფილის ქართველთა კორპუსის საკორპუსო ინჟენერის სამმართველოს მინდობილობათა შტაბ-ოფიცრის თანამდებობის აღმასრულებელი კაპიტანი თარხანოვი; ობერ-ოფიცრებად: ყოფილის ქართველთა კორპუსის საკორპუსო ინჟენერის სამმართველოს მინდობილობათა ობერ-ოფიცერი შტაბს-კაპიტანი ფირალოვი და ყოფილის ქართველთა კორპუსის საკორპუსო ინჟენერის სამმართველოს მინდობილობათა ობერ-ოფიცერი პოდპორუჩიკი საყვარელიძე; ბუხჰალტერად: საინჟენერო მომარაგების უფროსის სამმართველოს ბუხჰალტერი ტიტულიარნი სოვეტნიკი სიდოროვი; საქმისმწარმოებლად: ყოფილის კავკასიის ფრონტის საინჟენერო მომარაგების უფროსის სამმართველოს საინჟენერო მოხელე კოლლეჟსკი სოვეტნიკი ვასილიევი; ყოფილის ქართველთა კორპუსის საკორპუსო ინჟენერის სამმართველოს საქმისმწარმოებელი ომიანობის დროის მოხელე სულხანიშვილი; საინჟენერო მომარაგების უფროსის სამმართველოს საქმისმწარმოებელი ომიანობის დროის მოხელე სტაროსტინი; უმთავრესის საინჟენერო საწყობის უფროსად ყოფილის ქართველთა სასაპიორო ბატალიონის საველე საინჟენერო პარკის უფროსი კაპიტანი ბაგრატიონ-დავითიშვილი; უმთავრესის საპიროქსილინო საწყობის უფროსად ყოფილის ქართველთა სასაპიორო ბატალიონის უმცროსი ოფიცერი პორუჩიკი ალავიძე; საინჟენერო სახელოსნოების უფროსად ყოფილის კავკასიის საინჟენერო სახელოსნოების უფროსი პოდპორუჩიკი მაცაკიანცი; ზესტაფონის საპიროქსილინო საწყობის უფროსად ყოფილის ქართველთა სასაპიორო ბატალიონის პრაპორშჩიკი ჯიქია. სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის ნაწილის სამხედრო საზღვაო სექციაში: სამხედრო-საზღვაო სექციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად სამხედრო სამინისტროს საზღვაო ნაწილის ყოფილი უფროსი კაპიტანი 1 რანგისა ვერხოვსკი; სექციის უფროსის თანაშემწედ საადმინისტრაციო დარგისათვის სამხედრო სამინისტროს საზღვაო ნაწილის ყოფილი მინდობილობათა შტაბ-ოფიცერი პოდპოლკოვნიკი ასათიანი; საქმისმწარმოებლად სამხედრო სამინისტროს ყოფილს საზღვაო ნაწილთან მივლენილი მიჩმანი ჩიკვაიძე.

სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის ნაწილის სამხედრო-საისტორიო არქივსა და მუზეუმში: არქივის და მუზეუმის უფროსად გენერალ-მაიორი ესაძე; უფროსს არქივისტებიდ სამსახურითგან გადამდგარი ინფა-ტერიის გენერალი ყაზბეგი და გენერალ-მაიორი მატაფანოვი; უმცროსს არქივისტად ხორუნჟი მუგუევი.

სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის სამმართველოში განთავისუფლებულ თანამდებობაზე: საოპერაციო სექციის სამზვერავო განყოფილების უფროსის თანაშემწედ ობერ-ოფიცრის ხარისხში კაპიტანი ბაგრატიონ-დავითიშვილი; საოპერაციო სექციის სამხედრო გზათა განყოფილების უფროსის თანაშემწედ შტაბ-ოფიცრად პოდპოლკოვნიკი გუდკოვი და საარტილერიო სექციის იარაღის ტეხნიკოსად ყოფილის მეორე ქართველთა ცხენოსანის პოლკის იარაღის ტეხნიკოსი გოლოვკინი.

სამხედრო-სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილის საბიუჯეტო სექციაში: სექციის უფროსად სტატსკი სოვეტნიკი პავლოვი; საქმისმწარმოებლებად: კოლეჟსკი სოვეტნიკი ტატიშვილი, კოლეჟსკი ასესორი პარკაძე და კოლეჟსკი ასესორი კოზირევი; საქმისმწარმოებელთა უფროს თანაშემწეებად: ხარისხის არმქონებელი იმედაშვილი, გუბერნსკი სეკრეტარი აბაშიძე, კოლეჟსკი ასესორი წითელოვი; საქმისმწარმოებელთა უმცროს თანაშემწეებად: შტაბს-კაპიტანი ნადირაძე, ხარისხის არმქონებელნი ჩიქოვანი და გომელაური; ბუხჰალტერებად: კოლეჟსკი სეკრეტარი კოზირევი, ტიტულ. სოვეტნიკი ნასიძე და პორუჩიკი მაჭავარიანი.

სურსათ-საკვების სექციაში: სექციის უფროსად: ნადვორნი სოვეტნიკი დეკანოზიშვილი; საქმისმწარმოებლად: კოლეჟსკი სეკრ. ქარუმიძე, კოლეჟსკი ასესორი შანშიაშვილი და კოლეჟსკი სეკრეტ. მაღალაშვილი; საქმისმწარმოებელთა თანაშემწეებად: ტიტ. სოვ. პეტრიაშვილი და გუბერნ. სეკრ. ტაბიძე.

სასაწიკავო-სანივთო სექციაში: სექციის უფროსად სტატსკი სოვეტნიკი ბალუაშვილი; საქმისმწარმოებლად: სტატსკი სოვეტნიკი ავალიშვილი, ხარისხის არმქონებელი ნათიძე და კოლეჟსკი სეკრეტარი მირიმანოვი; საქმისმწარმოებელთა თანაშემწეებად: ნადვორნი სოვეტნ. ვასილიევი, ხარისხის არმქონებელნი ხიმშიაშვილი და კიპრიზოვი; ბუხჰალტრად კოლეჟსკი რეგისტრატორი ინდუაშვილი.

საპენსიო სექციაში: სექციის უფროსად პოდპოლკოვნიკი ნაცვლიშვილი; საქმისმწარმოებლებად: კაპიტანი ჭუჭულაშვილი, პორუჩიკი ლორთქიფანიძე და ერმალოზ ნიჟარაძე; შტაბ-ოფიცრად მინდობილობათათვის პოლკოვნიკი ჩოფიკაშვილი და მინდობილობათა მე-VI კლასის მოხელეებად: კოლეჟსკი სეკრ. ახრახაძე, მინდობილებათათვის ობერ-ოფიცრის თანამდებობის აღმასრულებელი ხარისხის არმქონებელი ქავთარაძე და ტიტულიარნი სოვეტნ. იაკაშვილი.

სასადგომო სექციაში: სექციის უფროსად სამხედრო ინჟინერი პოდპოლკოვნიკი გურამიშვილი; სექციის უფროსის თანაშემწედ სამხედრო ინჟენერი პოლკოვნიკი ბეკლემიშევი; ტეხნიკოსად ადგილობრივი ინჟენერი კაპიტანი სტეფანოვი; საქმისმწარმოებლად: ნადვ. სოვ. გოცირიძე, კოლ. რეგისტრ. კოვალ-კოვალჩუკი; საქმისმწარმოებელთა თანაშემწეებად პორუჩიკი გელაძე და პრაპორშჩიკი ტუსიშვილი; ბუხჰალტერად ომიანობის დროის მოხელე თაყაიშვილი; სექციის ანგარიშების და ხარჯთ-აღრიცხვის შემმოწმებელ ინჟენერად ინჟენერ-ტეხნოლოგი ჩხეიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტბილისის სამხედრო-სასადგომო დისტანციაში: დისტანციის უფროსად ინჟინერ-ტეხნოლოგი ტიტულ. სოვ. ბერიშვილი; დისტანციის უფროსის თანაშემწედ ადგილობრივი ინჟინერი კაპიტანი სპერანსკი; მუშაობის მწარმოებლებად: ინჟინერ-ტეხნოლოგი ვარშამოვი, ინჟინერ-ტეხნოლოგი ბრიკმანი, ადგილობრივი ინჟინერი შტაბს-კაპიტანი კონოპლიოვი, ინჟინერ-არქიტექტორი მოსეშვილი, ინჟინერ-ტეხნოლოგი იოსავა, ინჟინერ-მშენებელი შჩუპლინი; საქმისმწარმოებლად: საინჟინერო მოხელე ტიტულ. სოვ. სუდავცევი და რევიშვილი; საქმისმწარმოებელთა თანაშემწეებად: ომიანობის დროის მოხელე ნებოვი, ომიანობის დროის მოხელე კოლეჟსკი რეგისტრატორი კეკელია; ბუხჰალტრად პროპორშჩიკი ბერიკაშვილი; მოანგარიშედ კოლეჟსკი სეკრეტ. ნაკაშიძე; ტეხნიკოსებად: ჯარის ტეხნიკოსი კაპიტანი ყორყოლიხნი, ჯარის ტეხნიკოსი პოდპორუჩიკი პოლევიჩენკო, ჯარის ტეხნიკოსი პრაპორშჩიკი აზიკუროვი, ჯარის ტეხნიკოსი ხმელევსკი, ჯარის ტეხნიკოსი დაგაევი, ჯარის ტეხნიკოსი მაკსინი, ბოჩარნიკოვი, ქურდოვანიძე და პროპორშჩიკი მარგულოვი; შეშის საწყობის გამგედ კოლ. სეკრ. ქელბაქიანი, თანაშემწედ დავით ყიფიანი; სამასალო საწყობის გამგედ პორუჩიკი ავალიანი.

ქუთაისის სამხედრო-სასადგომო დისტანციაში: დისტანციის უფროსად ინჟინერ-ტეხნიკოსი კოლლეჟსკი სეკრ. ბეთანიშვილი დისტანციის უფროსის თანაშემწედ ადგილობრივი ინჟინერი კაპიტანი კონჩინი; მუშაობის მწარმოებლად: სამთო ინჟინერები ნარსია და ნემსაძე, ინჟინერი ნადარეიშვილი; საქმისმწარმოებლად: საინჟინერო მოხელე კოლეჟსკი სეკრ. კარმანოვი; საქმისმწარმოებლის თანაშემწედ ომიანობის დროს მოხელე შუბლაძე.

სამხედრო სამინისტროს სამხედრო-სასანიტარო ნაწილში: ნაწილის უფროსად საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სასანიტარო ნაწილის ყოფილი ინსპექტორი დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკი მგელაძე, მის თანაშემწეებად ალექსიშვილი-მესხიშვილი და ფარმაცევტი ალხაზიშვილი; მოხელეებად ხეცაძე და ივანიძე.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 25 ენკენისთვე.

მკითხველთათვის ერთობ საინტერესოთ მიგვაჩნია მოკლეთ განვიხილოთ ბ. ი. სემიონოვის მოხსენება რუსეთში მოგზაურობის შესახებ. ეს საყურადღებოა ორნაირათ.

ერთი იმიტომ, რომ ამ მოხსენების საშუალებით დაახლოვებით ვეცნობით რუსეთის „სოვდეპიის" თანამედროვე ფაქტიურ მდგომარეობას, მეორე ის გახლავს, რომ ამ მდგომარეობას გვაცნობს ჩვენ ბ. ი. სემიონოვი, რომელიც ამიერკავკასიის რუსთა საბჭოს თვალსაჩინო მოღვაწეა და ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ დაეწუნებია საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკური ნაბიჯი და კერძოთ გაებათილებია დამოუკიდებლობის აქტის მნიშვნელობა ჩვენი კულტურისა და ერისათვის.

ბ. ი. სემიონოვმა მოხსენება გააკეთა რუსთა საბჭოში 19 ენკენისთვეს (იხ. К. Слово № 202). რას წარმოადგენს რუსეთი მომხსენებლის გადმოცემით და დაკვირვებით?

რუსეთი წარმოადგენს პირდაპირ შემაძრწუნებელ სურათს, ამ მოხსენების თანახმად. ყველგან გაბატონებულია სრული უიმედობა, ველური ურთიერთული განძვინება და საყოველთაო უკმაყოფილება. წითელი გვარდია იხრწნება. პური არ არის. მოსკოვში თითო კაცზე გადაწყვეტილია $^1/_8$ გირვანქა და იმასაც კვირაში ერთხელ ან ორხელ თუ ღებულობენ.

მუშები თავის ცოლებს გზავნიან პურის საყიდლად, მაგრამ მათ იჭერენ, პურსართმევენ. მატარებლების გარშემო გაჩაღდება ხოლმე სროლა, ხდება დიდი შეტაკებები. არის ხშირი შემთხვევა, რომ პურის ყუას ჩუმად სადმე იყიდით. მაგრამ ეს დიდ დანაშაულად ითვლება და საგანგებო კომისია ამას სასტიკად სდევნის და სჯის. ქუჩებში ჰყიდიან ყველაფერს რაც რამ გააჩნიათ. აგროვებენ, ახმობენ, ფქვავენ, ხრაკავენ და ხარშვენ ყველაფერს, კარტოფილის კანსაც კი.

უკმაყოფილება შიმშილს გარდა სხვა ნიადაგზედაც დიდია. შეტაკებაა ბოლშევიკებსა და მათ ყოფილ მოკავშირეებს-მემარცხენე ესერთა შორის.

მათ შორის ბრძოლის ერთ დიდ საგანთაგანია ეგრეთწოდებული „ღატაკთა კომიტეტები", რომელთაც იცავენ ბოლშევიკები წინააღმდეგ გლეხთა კომიტეტებისა. სოფლათ საყოველთაო დაუსრულებელი ჯანყი და უბედურებაა. ამას ემატება ბრძოლა ორიენტაციის გარშემო, ჩეხოსლოვაკთა მოძრაობა, საშინელი ტერორი და სხვა მრავალი.

ყველაფერს „სოციალიზაციას" უშვებიან, მრეწველობა შეჩერდა, ყველაფერი ირღვევა, არაფერი არ იქმნება. წითელი გვარდიელები გამორბიან ბრძოლის ველიდან, ფრონტზე წასვლა არავის არ უნდა.

ასეთია ბ. ი. სემიონოვის მოხსენებიდან ამოღებული სურათის ზოგიერთი ნაკვთები. ასეთია, მისი გადმოცემით, ბოლშევიკური რუსეთის დღევანდელი ვითარება. საშინელ მდგომარეობაშია რუსეთის სხვა ნაწილებიც: უკრაინა, ყირიმი და სხვ. მაგრამ ახლა მათ შესახებ ცნობები ბ. ი. სემიონოვის მოხსენებიდან არ მოგვყავს.

მას თუ დაუჯერებთ, რუსეთში ბოლშევიკური ბანაკი თანდათან სუსტდება, იხრწნება და თვით ბოლშევიკებსაც კარგათ ესმით, რომ მათი ბატონობის აღსასრულის ჟამი ახლოვდება.

მაგრამ იმავე ბოლშევიკურ რუსეთში დღეს არის მეორე ბანაკი, ბანაკი აღორძინების, რომელსაც თანდათან ემატება ძალები და საშუალება. მურმანი, ციმბირი, სამარა, ჩეხო-სლოვაკები, ურალის და ორენბურგის კაზაკობა, მოხალისეთა ჯარი—ყველა ეს ერთს განუყოფელ მთელს წარმოადგენსო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, კადეტურ-ლიბერალური სათვალეები ძალიან შეუშლიდა ხელს ბ. ი. სემიონოვს ღრმათ ჩაეხედა რუსეთის სინამდვილს გულში და სისწორით დაენახა იქაური განვითარების მიდრეკილება და ცვალებადობის დედა აზრი.

მაგრამ, ვფიქრობთ, მის მიერ გადმოცემული ფაქტიური მასალა სოვდეპიის მდგომარეობის შესახებ მართალია. იმასვე გვეუბნებიან ჩვენ სხვებიც, ვინც კი იმოგზაურა უკანასკნელ ხანებში ყოფილი რუსეთის იმპერიის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე.

დაახლოვებით იმასვე გვიმტკიცებს მემარცხენე მიმართულების მწერალი, სოც.-დემოკრატი სტ. ვოლსკი, რომელმაც რამოდენიმე წერილი მოათავსა კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე.

ბ. სტ. ვოლსკიმ კარგა ხანს ჩვენში დაჰყო უკანასკნელ დიდი ცვლილებების დროს და მაინც და მაინც მტრულ განწყობილებას ჩვენი დამოუკიდებლობის მიმართ ვერ ვამჩნევდით. ხოლო გავიდა თუ არა კავკასიიდან, პირველი ყუმბარები, გაუგებრობის თუ აჩქარების გამო, ჩვენს რესპუბლიკას დაუშინა.

ცხადია, მან მაშინ კარგათ არ იცოდა რა ხდებოდა რუსეთში, ოცნებაში იყო გართული ბოლშევიკური წესწყობილების შესახებ და საქართველოს რესპუბლიკა უარესათ წარმოედგინა. მაგრამ, როგორც მის შემდეგს წერილებში სჩანს, ბ. სტ. ვოლსკი მალე გამორკვეულა და რუსეთის სინამდვილით შეშინებული და აღშფოთებული თავის მოწყალე თვალს იქიდან ჩვენს შორეულ რესპუბლიკას აღარ აშორებს, ხელებს იშვერს საქართველოსკენ, როგორც ისეთ ქვეყნისკენ, სადაც დარჩენილია დემოკრატიული თავისუფლება და ფეხქვეშ არ ითელება სინიდისი, პატიოსნება და კაცობრიობა, რაც რუსეთში ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობად არის გამოცხადებული და საყოველთაოთ შეჩვენებულია.

ახლა უნდა ვკითხოთ იმათ, ვინც ჩვენს ერს და საქართველოს დემოკრატიას საშინელ საყოველთაო რღვევის დროს თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობას უშლიდა და დამოუკიდებლობის გამოცხადებას უდიდეს ბოროტებად გვითვლიდა და გვითვლის:

რას დაემზგავსებოდა ჩვენი სამშობლო რომ მათ ავყოლოდით, რა გონება. მიუწდომელ უბედურებაში ჩავარდებოდით, რომ დროზე არ აგვეღო ალღო საერთო პოლიტიკური მდგომარეობისთვის და ჩვენში საკუთარ თავისუფლებას და რევოლიუციურ მონაპოვართ არ გამოვქომაგებოდით, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა?

ახლა თვით ბ. ი. სემიონოვმაც და მისმა თანამოაზრეებმაც უნდა აღიარონ გულახდილათ, თუ არ უნდათ უღალატონ ობიექტიურ და მრავალმეტყველ სინამდვილეს, რომ საქართველოს დემოკრატიის არჩეული გზა ერთადერთი სწორი, სამართლიანი და მხსნელი გზაა და სხვა, მათ მიერ ნარჩევი პოლიტიკა მიგვიყვანდა გაველურების და განძვინების ნაპრალამდე, გადაგვჩეხდა ისეთ უფსკრულში, სადაც, არა თუ კულტურა და მაღალი კაცობრიული გრძნობები, თვით ჩვენი ხალხის ფიზიკური არსებობა სამუდამოთ დაიღუპებოდა.

ახლა ყველამ უნდა დაინახოს, თუ ვინ სთესდა დამღუპველ ილიუზიებს ხალხში და ვინ იბრძოდა დემოკრატიის და თავისუფლების ფაქტისათვის.

## შემოქმედებითი მუშაობა.

ამოვარდნილი ქარიშხალი ჩადგა. ანარქიის ამთაგორებული ტალღების ცემა შესწყდა. ეგრეთ წოდებული „ბოლშევიზმი", რომელიც მოარულ სენათ გადაიქცა, დღეს უკვე სრულ აგონიას განიცდის. ანარქიის ფსიქოზი გაქრა და ცხოვრება ნელნელ წესიერების და წესრიგის კალაპოტში შედის. დადგა სისტემატიური, მუყაითური მუშაობის დრო.

და აი, შემოქმედებითი ენერგია იშლება და მუშაობა ჩაღდება. ერობის არჩევნები უმთავრესათ უკვე დასრულდა. ჩაეყარა საფუძველი იმ ორგანოს, რომელიც ქართველი ხალხის კეთილდღეობის ქვაკუთხედათ უნდა გადაიქცეს. ერობა კიდეც იწყებს მუშაობას. უკვე შეიკრიბა სენაკის მაზრის ერობა და შეუდგა მოქმედებას.

მრავალი საქმე აქვს გასაკეთებელი ჩვენს ერობას ქვეყნისათვის, დიდი და ძლიერი ენერგიის გამოჩენა დასჭირდება მას. ჩვენი ქვეყანა მოკლებულია შკოლებს, საავათმყოფოებს, გზებს,—ყველაფერ ამას ერობამ უნდა მოუაროს.

არ უნდა დარჩეს ადგილობრივი ცხოვრების არც ერთი საჭირ-ბოროტო საკითხი. ყველამ ერობის დარჯაკში უნდა გაიაროს და ხალხმა თავის არჩეულ წარმომადგენლების გონებით მიხანშეწონილად უნდა გადასწყვიტოს. სოფლის ცხოვრება ამ მხრივ სავსებით მოწესრიგდება და აყვავების გზას დაადგება.

ქალაქებიც ამუშავდენ.

უკანასკნელ ხანაში ქალაქმაც გადაიტანა ანარქიის სუსხი და თუმც მალე მოიშორა იგი, მაგრამ საერთო არევ-დარევამ, უფინანსობამ, საძეურნაო ცხოვრების გაჩანაგებამ, მას შეძლება არ მისცა თავისი დემოკრატიული მართველობის ასპარეზი კარგად გაეფართოებია და სამეურნეო ცხოვრება წარმარტებით წაეყვანა. სასტიკ დუხჭირ პირობებში იმყოფებოდა ჩვენი ქალაქი და მანაც მოუწოდა დაბარჩენებს ხელი-ხელ ჩაკიდული-შეერთებული ერთად ევლიათ მძიმე გზა. უკვე დასრულდა ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობამ საგულისხმიერო დადგენილებანი მიიღო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დადგენილება ცარიელ დადგენილებათ არ დარჩება და ქალაქები შესძლებენ დემოკრატიულ თვითმართველობის განვითარება-განმტკიცებას. ერობამ და ქალაქთა კავშირმა ჩვენს ცხოვრებაში დიდი როლი უნდა ითამაშოს და თავისი აუცილებელი დაღი უნდა დაასვას მას.

მესამე მხრივ კოოპერატორთა ყრილობამ შეიმუშავა მოქმედების გაფართოებისა და გაძლიერების გეგმა.

ყველამ კარგად იცის, თუ რაოდენი ღვაწლი დასდო კოოპერატივმა ჩვენს ცხოვრებას. ამ მხრივ კოოპერატივების მუშაობა მეტად ღირსშესანიშნავია. მაგრამ უფრო დიდი და სასარგებლო იქნება ის მუშაობა, რომლის შესახებაც ყრილობამ დადგენილებანი გამოიტანა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ენერგია და მუყაითობა კოოპერატორებისა გადალახავს ყოველგვარ სიძნელეს და მალამოთ დაედება ჩვენს გაჭირვებულ ცხოვრებას.

ცხოვრების მოწესრიგების და ნორმალობის შექმნის პროცესში ერობა, ქალაქთა კავშირი, კოოპერატივები უსათუოდ ღირსშესამჩნევ როლს ითამაშებენ და მათ ამ როლში უსათუოდ დიდ დახმარებას გაუწევს რკინის გზა. რკინისგზელთა ყრილობა, ჩვენ გვწამს, საჭირო და შესაფერ ნაბიჯს გადადგამს და დანარჩენ პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ეკონომიურ ორგანიზაციებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცებისაკენ გასწევს.

ქართული ცხოვრების პოტენციალური ენერგია იშლება და კინეტიურში გადადის.

შეგნებული ძალა ქართველი ხალხისა შემოქმედებითი მუშაობაში ებმება და შესძლებს იგი, რომ თავის თავს მოუაროს, თავის საქმე თვით გაუძღვეს. შენდება და მტკიცდება უძვირფასესი სასახლე ქართველი ხალხის თავისუფლებისა, რომლისთვისაც თვითეული გულწრფელი მოქალაქე თავგამოდებით უნდა მუშაობდეს.

## პრესის მიმოხილვა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი გაყოფა საზოგადოების ყურადღებას იქცევს. „ბორბა" ამ გაყოფის შესახებ სწერს:

„რომ მომხდარი განხეთქილება ორ კლასის ინტერესების წინააღმდეგობიდან წარმოიშვა, ეს სჩანს თვით განხეთქილების საბაბიდან. პარტიამ გადასწყვიტა, რომ გაეწვია ეროვნულ საბჭოდან მემამულეთა წარმომადგენლები და გაეძლიერებინა იგი ვაჭარ-მრეწველთა კლასის წარმომადგენლებით.

დღეიდან ეროვნულ საბჭოს მემარჯვენე ფრთაში ჩვენ ორივე ფრაქცია გვეყოლება. ერთის ფიზიონომია, რომელსაც წინ უძღვის ისეთი გარკვეული პიროვნებანი, როგორნიც არიან ბ. ბ. ვეშაპელი და გაბაშვილი,— ჩვენთვის ნათელია: ეს არის—ფრაქცია კონტრ-რევოლიუციის, ანარქიის, ფრაქცია ანტი-სახელმწიფოებრივი, რომელიც იმის ცდაშია, რომ შეიქმნას ისეთი პირობები, რომელნიც შეუძლებელს ჰყოფენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ორგანიზაციას, რისთვისაც იგი არავითარ ზომებს არ დაზოგავს და სახეში იქონიებს თვით უცხოელების ხიშტებს.

---

განახლებულ „საქართველო"-ში ბ. სპ. კედია ეხება ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში მომხდარ გაყოფას. იგი აღნიშნავს, რომ მოპირდაპირე პარტიები მათთვის უვნებელნი იყვნენ, რადგან

„სინამდვილემ ისინი დაამარცხა. ხოლო ჩვენი განვითარების შემყენებელმა ძალამ თვით ჩვენს წრეში დაიბუდა. ამას გრძნობდა ჩვენი პარტიის ცოცხალი და მოზარდი ორგანიზმი და არა ერთხელ აბორგებულა კიდევაც რომ ჰაერი გაეწმინდა და სალის ფილტვებით ესუნთქა. დღემდის ეს მიზანი მიუხწეველი დარჩა. დღეს კი ეს გადაუდებელ ოპერაციას წარმოადგენს.

## ამონაწერები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებიდან.

19 ენკენისთვეს.

1. მიეცეს სამხედრო მინისტრს უფლება იყოლიოს თავის განკარგულებაში გენერალთა და შტაბ-ოფიცრების თადარიგი (რეზერვი) არა უმეტეს 13 კაცისა.

2. მიეცეს სამხედრო მინისტრს უფლება მისცეს შტატიან ადგილებზე დანიშნულ: ბატალიონის კომანდირებს, როტის კომანდირებს, უფროს და უმცროს ოფიცრებს ავანსის ფული იმ ზომით როგორც მოხსენებულია პროექტში.

3. მიენდოს ფინანსთა მინისტრს დააკმაყოფილოს მაზრების მოთხოვნა მილიციის შესანახი ფულით.

4. მიეცეს ფინანსთა მინისტრის კანცელარიის მოხელეთა ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად 40 ათასი მანეთი იმ სმეტით ანგარიშში, რომელიც იქნება წარმოდგენილი დასამტკიცებლათ ახლო ხანში.

5. ეცნობოს სოჭის სოციალისტურ პარტიათა შეერთებულ საბჭოს, რომ საქართველოს მთავრობის აზრით სოჭი შედის საქართველოს საზღვრებში.

6. მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის გარდაცვალების გამო მიენდოს ფინანსთა მინისტრს გამოუცხადოს საქართველოს კათა-

ლიკოსის მოსაყდრეს მთავრობის მხრივ მწუხარება.

7. კომისიის პროექტი შესახებ სასურსათო საქმეთა ცენტრალური ორგანიზაციისა მოწონებულ იქნა იმ დამატებით, რომ სასურსათო საბჭოს წევრებს მიემატოს თითო-თითო წევრი რკინის გზისა და სახალხო გვარდიიდან. ამასთანავე მიღებულ იქნა, რომ აღმასრულებელ ორგანოს თავჯდომარეს, რომელიც უნდა დაინიშნოს მთავრობის მიერ, მიეცეს უფლება მთავრობის სხდომაზე დასწრებისა სასურსათო საქმეთა გარჩევის დროს.

# ეროვნული საბჭო

## მე-34 სხდომა

**პარასკევი, 30 აგვისტო 1918 წ. ტფილისი, სასახლე.**

თავმჯდომარე. ვინ არის ამის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე ეს შენიშვნა მიღებულია.

საერთოდ ვინ არის ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე ეს კანონ-პროექტი მიღებულია იმ შესწორებით, რომლებიც ჩვენ შევიტანეთ.

მეორე კანონ-პროექტი, სამასწავლებლო, ინსტიტუტის და სემინარიის გაეროვნების შესახებ.

ნ. ცინცაძე. უკვე მოგახსენეთ ბატონებო, რომ ჩვენ რესპუბლიკაში აქამდისინ არსებობდა 4 საპედაგოგიო სასწავლებელი. ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი თბილისში და სამი სემინარია: გორში, ხონში და სოხუმში.

ეს სამასწავლებლო ინსტიტუტი დღემდის განსაკუთრებულ პირობებში იყო. საქმე ის არის, რომ იმ პოლიტიკის მეოხებით, რომელსაც უკანასკნელ დროს რუსეთის მთავრობა აწარმოებდა, ამ სამოსწავლო ინსტიტუტიდან თითქოს განდევნილნი იყვნენ ადგილობრივი მკვიდრი შვილები. მათი რიცხვი 5 პროც. თითქმის არ აღემატებოდა. ეს პროპორცია მხოლოდ შარშან შეიცვალა. შარშან ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვი გაუსწორდა 31 პროცენტს. ეხლანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ უფროს კლასში ახლო მომავალში გამოცდები მოხდება და იქ, უმეტესად რუსობა მიიღებს სათანადო მოწმობებს. რაც შეეხება პირველ კლასებს, ამ კლასებში არსებობს ეროვნული განყოფილება, არის ძირითადი რუსული, ქართული და სომხური განყოფილება. საქმე იმაშია, რომ ამ სომხურ განყოფილებაში ძალიან ცოტა ხალხი იყო. საზოგადოდ სომხები არ ეტანებიან, რადგანაც თავისი სასწავლებელი აქვთ.

რაც შეეხება რუსებს, ეხლანდელ პირობებში, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი არ მოაწყდებიან სასწავლებელს იმიტომ, რომ ადგილობრივი მკვიდრი რუსები ნაკლებად ეტანებიან, მათ მოსწავლეთა რიცხვი ორ პროც. არ აღემატება. ყოველ შემთხვევაში, რუსობის უმეტესი ნაწილი აწყდებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, დონიდან და ეხლა, უნდა მოველოდეთ, რომ იქიდან აღარ მოაწყდებიან მოწაფეები ამ სასწავლებელში. ამიტომ, თანდათან ბუნებრივად ხდება ამ სასწავლებლებში გაქართულება. პირველ კლასებში მოხდა გაქართველება ფაქტიურად იმიტომ, რომ სომხები არ ეტანებიან, არ საჭიროებენ, და მეორეს მხრივ, რაც შეეხება თათრებს, იმათთვის გახსნილი იყო სამასწავლებლო ინსტიტუტი ბაქოში, იმიტომ მათთვის ცალკე თათრული, სპეციალური, ეროვნული განყოფილება საჭირო არ იყო. თუ მომავალში საჭიროება მოითხოვს მათთვის სამასწავლებლო ინსტიტუტს, მაშინ შესაძლოა, რომ სპეციალურად მათთვის გავხსნათ ასეთი ინსტიტუტი ან გავხსნათ განყოფილება ქართულ უნივერსიტეტთან, რომელიც ფორმალურად უნდა გაეროვნდეს ე. ი. გამოცხადდეს ქართულ სამასწავლებლო ინსტიტუტად. ასეთ მდგომარეობაშია ჩვენი სამასწავლო ინსტიტუტი.

რაც შეეხება ხონის სემინარიას, ის, როგორც მასწავლებლების შუამდგომლობით, ისე მოწაფეებით გაქართულებული არის. ასე, რომ ესაჭიროება მხოლოდ ფორმალური დადასტურება. სოხუმის სემინარიაში უნდა გაიხსნას აფხაზური განყოფილება. რასაკვირველია უნდა გავიღოთ კრედიტი. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს კრედიტი უკვე გახსნილი არის ამ სასწავლებლისთვის და ჩვენ ახლა უნდა დავადასტუროთ. მხოლოდ ამ საქმეს ფორმალური გათავება უნდა. რაც შეეხება გორის სემინარიას, უნდა მოვახსენოთ, რომ აქ არსებობს, სხვათა შორის, თათრული განყოფილება, ეს ძველად არსებობდა, მაგრამ ადერბეიჯანის მთავრობამ მოითხოვა და ეს განყოფილება უკვე გადაიტანა განჯაში, ასე რომ ეს განყოფილება ისპობა. სომხების განყოფილებაში საჭიროება არ არის, და თუ დარჩა, რასაკვირველია, ჩვენ მოვალენი ვიქნებით ან გავხსნათ ამათთვის სემინარია, ან კიდევ გავხსნათ განყოფილება. მაგრამ ამის შესახებ მსჯელობა იქნება მომავალში. მაშასადამე დასკვნა ასეთია, ჩვენ ფორმალურად უნდა დავადასტუროთ გაეროვნება გორის სემინარიისა. რაც შეეხება სოხუმის სემინარიას, იქ უნდა გაიხსნას აფხაზური განყოფილება. ამის-და მიხედვით შემოტანილია კანონ-პროექტი. (კითხულობს)

თავმჯდომარე. ვის ჰსურს საერთოდ ამ კანონის შესახებ აიღოს სიტყვა? არავის. გთხოვთ წაიკითხოთ მუხლობრივ.

ნ. ცინცაძე. (კითხულობს კანონ-პროექტის ა) მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ნ. ცინცაძე. (კითხულობს ბ. მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ნ. ცინცაძე. (კითხულობს გ. მუხლს)

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ნ. ცინცაძე. მუხლი დ. (კითხულობს) კრედიტის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ კრედიტი უკვე გახსნილია. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ კრედიტი გაგრძელდეს.

თავმჯდომარე. ვინ არის ამ მოსაზრების წინააღმდეგი? ამ მოსაზრებით საჭირო არის კრედიტის გაგრძელება. არსებობს კრედიტი, აქ საჭირო არის მხოლოდ სანქცია. მაშასადამე ეს მოსაზრება მიღებულია.

ნ. ცინცაძე. მხოლოდ სამღრთო სჯულის მასწავლებლის შესახებ არის დადგენილება კომისიისა, რომელიც თქვენ უკვე მიიღეთ. მაშასადამე ეს მუხლი გამოიცვლება.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს შალვა ქარუმიძეს.

შ. ქარუმიძე (ეროვ.-დემ.). მე უნდა მოგახსენოთ იმ მუხლის შესახებ, რომელიც შეეხება სამღთო-რჯულის მასწავლებლის ჯამაგირსა. ის წინადადება, რომელიც მივიღეთ, (თუმცა მე პირადად და ჩემი ფრაქცია წინააღმდეგნი ვიყავით იმისა), შეეხება ტფილისის დედათა სემინარიას. მე მგონი, რომ თქვენ აქ მოისმინეთ ის განმარტება, თუმცა ფორმალური ხასიათისა, რომელიც წარმოადგინა აქ, განათლების კომისიის წევრმა, ბატონმა მომხსენებელმა—ნოე ცინცაძემ. ამ განმარტებიდან გაიგებდით, რომ ის შენიშვნა, რომელიც შემოიტანა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, ეს არის საქმე სკოლის განახლებისა. და, მე მგონი, მაშინ, შევხდებით ამ ახლო მომავალში და გამოვაცხადებთ ჩვენ აზრს და დავადებთ იმ პასუხს, რომელიც შეეფერება საერთოთ ამ განათლების, სკოლის სურათს, რომელიც მიღებული იქნება ჩვენი პარლამენტის მიერ.

კერძოდ ამ საკითხის ეხლა ექსპრომტათ გადაწყვეტა არ შეიძლება. მე გთხოვთ ცოტაოდენი მეტი სიფრთხილით მოეკიდოთ ამ საკითხს, იმიტომ, რომ ეს შეეხება, სხვათა შორის სოხუმის სემენარიასაც, საცა სხვა ჯამაგირებთან ერთათ, სხვათა შორის იქნება ჯამაგირიც, რომელიც უნდა მივცეთ მაჰმადიან ბავშვების მასწავლებელს. ამის გამო ის გადაწყვეტილება, რომელიც თქვენ კე[illegible]ინებეთ და მიიღეთ ტფილისის დედათა სემინარიის მიმართ, მე მგონია, რომ ამ შემთხვევისთვის არ იქნება კარგი. მე მოვითხოვ, რომ ცოტა მეტი სიფრთხილე გამოვიჩინოთ ამ საგანში და დავტოვოთ ეს მუხლი ამ შტატებისა შეუცვლელად ისე, როგორც იგი წარმოდგენილია განათლების კომისიის მიერ.

თავმჯდომარე. თქვენი წინადადებაა, რომ დავტოვოთ ეს მუხლი ისე, როგორც კომისიისაგან იყო წარმოდგენილი?

სიტყვა ეკუთვნის სახალხო განათლების მინისტრს.

განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი. ბატონებო! სამინისტროს და მთავრობას, რასაკვირველია, არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო, რომ სამღთო-რჯულის სწავლა სასწავლებელში იყოს კერძო საგნათ, იყოს კერძო სინდისის და რწმენის საქმე. მაგრამ, მე არ შემიძლიან, მთავრობის მხრით არ მოგახსენოთ, რომ, რაკი კანონი არ არსებობს ჯერ, შემუშავებული არ არის და ეს წარმოდგენა შემთხვევით იმყოფება აქ ერთ სასწავლებლის შესახებ, ამ შტატების მოსპობა, შეიძლება, უხერხული იყოს; მართალია კომისარიატის მიერ იყო გამოცემული ასეთი განკარგულება, რომ მშობლების საქმე არის, თუ არ უნდათ არ ასწავლიან სამღთო-რჯულსა, მაგრამ ამის შესახებ კანონს ნამდვილი კანონის სახე არ ჰქონია, და ამით აიხსნება ის, რომ ამ განკარგულებამ ცხოვრებაში არავითარი გავლენა არ იქონია, თითქმის არავის მშობელთაგანს არ გამოუცხადებია სურვილი, რომ მას არ ჰსურს სამღთო-რჯული ასწავლოს თვის შვილს.

ჩვენ არა გვაქვს ისეთი კანონი, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია ამ საკითხის შესახებ. ჩვენ გვინდა შევიმუშავოთ ამის შესახებ კანონი, და ვფიქრობ, რომ არ შეიძლება დღეს, როგორც მოგახსენათ სწავლა-განათლების კომისიის წევრმა ბატონმა შალვა ქარუმიძემ, არ შეიძლება დღეს ასეთი დადგენილება გამოვიტანოთ ამ სემინარიის შესახებ. მე მინდოდა მხოლოთ მომეხსენებინა ის, რომ სოხუმის ოლქში, აფხაზების სემინარიაში, ასეთმა ჩვენმა დადგენილებამ შეიძლება დიდი უხერხულება და დიდი წინააღმდეგობა გამოიწვიოს, როგორც აქ მოხსენებული იყო, რაკი საკითხი შეეხება მასწავლებლებს.

არს. მამულაიშვილი (ს. დ.) ეჭვი არ არის, რომ კომისარიატის დადგენილებას კანონის ძალა ჰქონდა იმიტომ, რომ მაშინდელმა მთავრობამ იგი დაადასტურა, ე. ი. კანონად სცნო. რაც შეეხება განათლების სემინარიას, როგორც ბატონმა შალვა ქარუმიძემ გამოაცხადა, რომ იგი კერძო იყო—ეხლა, რადგანაც, ჩვენ დავადასტურეთ, ის სახელმწიფო სასწავლებელი არის უკვე, და მაშასადამე კერძო სასწავლებლად აღარ ჩაითვლება. სწორედ იმ მოსაზრებებით, რომელნიც აქ მოყვანილი იყვნენ, მე მოვითხოვ რომ შტატები მიღებულნი იყვნენ ისე, როგორც წარმოდგენილია სწავლა-განათლების კომისიის მიერ, სამღვთო სჯულის შტატების გამოკლებით. ფორმალურ მოსაზრებით, მე მგონია, ხელმძღვანელობა არა ღირს. მე მგონია, რაკი ჩვენ ვამტკიცებთ შტატებს, არავითარი მოსაზრება არ არის და არც შეიძლება მოიყვანონ, რომ აქ საერთო შტატების მასწავლებლების სიაში შეტანილი იქმნეს, არა არსებული, არა სავალდებულო საგნის მასწავლებლის თანამდებობა. და ამიტომ მე მოვითხოვ აქედანაც, როგორც მოხსენებული იყო, გამორიცხული იქმნეს სამღთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა.

დიმ. უზნაძე (სოც. ფედ.) როგორც უნდა გადასწყდეს პრინციპიალურად სამღთო სჯულის სწავლების, თუ არა სწავლების შესახებ, მე მგონია, რომ პრინციპიალური გადაწყვეტა არა სწყვეტს იმ საკითხს, რომელიც ჩვენ წინაშე სდგას. წარმოიდგინეთ საერთოდ, რომ როცა ჩვენ მსჯელობა გვექნება საღმთო სჯულის შესახებ, წარმოიდგინეთ რომ ჩვენ გადავწყვიტეთ: საღმთო სჯულს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, როგორც სავალდებულო სწავლის საგანს. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ საღმთო სჯულის გაკვეთილები სტოვებენ ალაგს, რომელსაც უთმობს სხვა რამ მთავარ საგანს, რომელიც დღეს არ არსებობს. აუცილებელია, რომ შეივსოს სამღთო სჯულის ადგილი.

საღმთო სჯულის სწავლის მიზანი იყო, რელიგიური ზნეობრივი აღზრდა. ყოველ შემთხვევაში, თუ საღმთო სჯულის სწავლა მიზანს არ აღწევდა, ყოველ შემთხვევაში, აუცილებლათ საჭირო არის: ისეთი რამ შეიქმნას, რომ მიზანშეწონილი იყოს. მაგრამ, რაც შეეხება ზნეობრივ აღზრდას, ჩვენ ამაზე მსჯელობა უნდა ვიქონიოთ. რა საშუალება უნდა შემუშავდეს, რომ ეს მიზანი განხორციელდეს—და შესაძლებელია მივმართოთ იმ გზას, რომელსაც დღეს ევროპიული სახელმწიფოები მისდევენ ამისთვის შესაძლებელია შემოვიღოთ სხვა რამ საგანი, როგორც ეთიკა და სხვა. შემდეგ, კიდევაც რომ გადასწყდეს ეს საქმე, ყოველ შემთხვევაში, სხვა რალაც საგანმა მისი ადგილი უნდა დაიჭიროს, რომლისთვისაც ხარჯი აუცილებელი იქნება. წარმოვიდგინოთ, რომ გადასწყდა საღმთო სჯული არ არის სავალდებულო საგანი. მაგრამ ეს საკითხი არა სდგას დღეს. მე მგონია, რომ ეს საკითხი აუცილებლად იდგება შემდეგში ჩვენს წინაშე და თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ განკარგულება ამ საგანზე კომისარიატისა კანონი არ არის, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს განკარგულება სავალდებულო არის ჩვენთვის, მანამ არ გადავშინჯეთ, და მანამ უარყოფილი არ არის, ამიტომ როდესაც საერთო ლაპარაკი გვექნება სწავლა-აღზრდის შესახებ, ჩვენ პირისპირ დაუდგებით ამ საკითხს და ჩვენ აუცილებლად ჩვენ აზრს მივიღებთ. ეხლა, რა კი ეს საკითხი ჩვენ წინაშე არა სდგას გადასაწყვეტად, და კიდეც რომ იდგეს და კიდეც რომ გადასწყდეს, საჭირო იქნება ერთგვარი ადგილი დაეთმოს საგანს, რომელიც უფრო მიზანშეწონილი იქნება ზნეობრივი აღზრდისთვის, რაკი ეს საჭირო და სავალდებულო საგანი იქნება,—ჩვენი ფრაქცია ფიქრობს, რომ უკეთესი იქნება ეს მუხლი ხარჯთ-აღრიცხვისა დატოვებული იყოს, იმიტომ რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შემოვიღეთ სხვა რამე საგანი, არ მოგვინდება აღდგენა საკითხის, ხელ-ახლად განხილვა ამ შტატებისა ხარჯთ-აღრიცხვისა, მთლიანად, ან ნაწილ-ნაწილ. ჩვენის აზრით, სანამ ეს საკითხი გადასწყდება, საჭირო არის, პრაქტიკული მოსაზრებით ეს მუხლი დარჩეს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ალ. ლომთათიძეს.

ალ. ლომთათიძე. (ს.-დ.) მოქალაქენო! ჩვენ უკვე მოგახსენეთ, რომ ამ საკითხს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. მას არა აქვს არც ნაციონალური მნიშვნელობა. ჩვენ პრინციპიალურად ვუყურებთ ამ საკითხს. ის მოსაზრებანი, რომლებიც აქ მოიყვანეს, სრულიად ვერ გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ უნდა დატოვებულ იქნეს ეს მუხლი. უმთავრესი მოსაზრება საბჭოს წევრის უზნაძესი ის იყო, რომ თუ ამოვშალეთ ეს მუხლი მის ალაგას ხომ უნდა იყოს შეტანილი სხვა საგანი და რა საგანი უნდა შევიტანოთ ეს გამოურკვეველი დარჩა. ჩვენ პრინციპიალურად უნდა ვსთქვათ, ვახორციელებთ თუ არა წმინდა პრინციპიალურ საკითხს სინიდისის თავისუფლებისას, არის თუ არა დღეს შესაფერი დრო, რომ აქ პრინციპიალური საკითხი წარმოსდგეს. და, თუ არის, ამ ტრიბუნიდან უნდა გამოცხადდეს. და აი ჩვენ მოგახსენებთ, რომ არის მართლა შესაფერისი დრო. მართალია თითონ შტატებიდან სამღვთო სჯულის საგნის ამორიცხვა არ სწყვეტს საკითხს, მაგრამ რაკი ამ კანონით პრინციპიალურ საკითხის—სინიდისის თავისუფლების—პრაქტიკულად გადაწყვეტის საშუალება გვეძლევა დღეს, ჩვენ ვიმეორებთ, რომ სამღვთო სჯულის სწავლება სავალდებულო არ არის.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომელიც გამოსთქვა ბატონმა შალვა ქარუმიძემ, მე მინდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. მან ამ საკითხს ერთგვარი საერთაშორისო პოლიტიკური ხასიათიც მისცა. თუ გნებავთ გავაშუქოთ ეს საკითხი საერთაშორისო პოლიტიკის მხრივ—ეს ერთი ზედმეტი მოტივია იმისა, რომ ჩვენ მეტი სიფრთხილე გამოვიჩინოთ ამ საკითხის გადაჭრაში—უნდა ვსთქვათ, რომ რაკი სამღვთო სჯული, როგორც სავალდებულო საგანი, არც ერთ სასწავლებელში არ არის, რომელიც კი ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფება, ვისიც უნდა იყოს, რაკი ჩვენს ტერიტორიის საზღვრებზე არის რომელიმე ეროვნების სასწავლებელი, რაკი იგი ჩვენ სახელმწიფოს ხელმძღვანელთა გამგეობაშია მას ჩვენ სავალდებულო ხასიათს არ ვაძლევთ და როგორ შევცვლით ამასა ფხაზეთის ხალხისთვის. (ივანიცკი. ძალიან თანაგრძნობით კი შეხვდებიან.) ყოველ შემთხვევაში აფხაზეთის ხალხში არის ჯანსაღი ნაწილი, ის გაიგებს ისე, როგორც უნდა გაიგოს, რომ საქმე წესიერად წაიყვანოს. მაგრამ შესაძლებელია, წამოყოს თავი შემდეგმა მოვლენამ: შესაძლებელია, რომ მათ მოითხოვონ: ჩვენ გვსურს სოხუმის სემინარიაში მაჰმადიანთათვის შემოღებულ იქნეს მაჰმადიანურ სჯულის სწავლა. თუ მართლა მოითხოვენ მშობლები და აგრეთვე მოსწავლეები, ვინაიდან ძველ ოზაკომის სამოსწავლო კომისარიატის დასტურის თანახმად თუ 15 წელს აღემატება მოსწავლე მას უფლება აქვს შეიტანოს სამოსწავლო კომისარიატში განცხადება და მოითხოვოს საღვთო სჯულის სწავლა. ამ მხრივ განხორციელდება სწორედ ის, რისაც ეშინიათ ზოგიერთ ორატორებს.

დასასრულ უნდა განვაცხადოთ, რომ, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აქტს ვაცხადებდით, იქ უკვე ნათქვამი იყო: ის კანონები, რომლებიც მოქმედებდნენ რუსეთში, რჩება ძალაში ჩვენ სახელმწიფოში.

აქ იყო ნათქვამი: კომისიის წარმომადგენლის მიერ, რომ ასეთი დადგენილება ჰქონია სამოსწავლო კომისარიატს დ ეს დადგენილება დადასტურებული არის მაშინდელ ყოფილ მთავრობისაგან, რადგანაც არც დადგენილება და არც დადასტურება ჩვენ მიერ უარყოფილ არ არის. ჩვენ ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. რაკი არსებობს კატეგორიული დადგენილება, სადაც არ არის გამოხატული მოწინააღმდეგე აზრით მოწინააღმდეგე კანონით—ეს კანონი ძალაში რჩება. პრინციპიალური, პრაქტიკული და ფორმალური მოსაზრებანი, საერთოდ, ყველა იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილ იქნეს ისე, როგორც ჩვენ მოვითხოვთ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ქარუმიძეს.

შ. ქარუმიძე. მე ვგონებ, რომ სოციალ დემოკრატია ძალიან ისწრაფის დ ამ საკითხს იმ ნიადაგზე სდგავს, როგორც არ უნდა იყოს. თუ აგრე იქნება მაშინ პრინციპიალურად უნდა დაისვას საკითხი: უარჰყოფს თუ არა ჩვენი ეროვნული საბჭო სამღვთო სჯულის სწავლას, და თუ უარ-ჰყოფს, რით შესცვლის ამას ჩვენი განახლებული სკოლა? თუ ასე იქნება, მაშინ ჩვენ უნდა ეს საკითხი დავსვათ, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევთ.

ჩვენი ეკლესია გახლავთ ჯერ კიდევ ძირითადი და მაღალი კანონის ძალით სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი. როდესაც ლაპარაკი არის ამაზე, ჩვენ ამას ანგარიში უნდა გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიოთ. თუ ისე გადასწყდა საკითხი, როგორც თქვენ ამას სწყვეტთ, ეს იქნება უკანონობა ინსტიტუტის და იმ ძირითად კანონის წინაშე. თუ ასე გადასწყდება ეს საკითხი, გამოვა ის, რაც არ ეკადრება საქართველოს და მის საკანონმდებლო დაწესებულებას. ეს იქნება დაკანონება ერთის წოდების—სამღვდელოების-მიმართ ბოიკოტის გამოცხადებისა. ეს გახლავთ საერთო მისწრაფება. ხოლო რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ამიერ-კავკასიის სამოსწავლო კომისარიატმა გამოსცა დროებითი ხასიათის კანონი, მაგრამ თქვენ ხომ დემოკრატები ბრძანდებით და ანგარიში უნდა გაუწიოთ ამ მასალას, რომელიც გახლავთ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის კანონი მკვდარი გახლავთ დღეს. იგი სრულიად არ განხორციელდება და პირდაპირ მოიპოვება ნამდვილი მასალა, რომ არც ერთ სასწავლებელში არ გაუქმებულა (ხმები მარცხნიდან: ტფილისის სასწავლებლებში?) და როცა გაუქმდა, მშობლები მოითხოვდნენ, რომ აღდგენილ ყოფილიყო სამღვთო სჯულის სწავლა. ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ, მე კიდევ ხაზგასმით მოგახსენებთ, რომ საერთაშორისო ვითარება, როგორც თქვენა ბრძანეთ, არ არის სწორე. მე მგონი რომ კარგი არ არის, გონიერი არ არის წინასწარი გადაწყვეტა ასეთი საკითხისა, რომელიც არ არის უბრალო საკითხი და რომელიც, ასე თუ ისე, მოფიქრებას საჭიროებს.

ასეთი გადაწყვეტილება სამღვთო სჯულის განდევნისა ფაქტიურად იქნება გადაწყვეტილება ჯამაგირის წართმევისა სამღვდელოებათაგან. ფაქტიურად თქვენ სწყვეტთ საკითხსა, რომელიც დასმული არ არის. თქვენ სწყვეტთ საკითხს როდესაც ასეთი გადაწყვეტილება აფხაზებისთვის მიუღებელი იქნება მიუხედავად იმისა, რომ თქვენ გგონიათ იქაც მოიპოვებიან თქვენისთანები, რომლებიც თქვენის აზრით სალად შეხედავს ამ საკითხს.

ეს, მე მგონია, ყოვლად შეუწყნარებელი იქნება, და შელახვაც არის იმ პირობებისა და იმ ავტონომიის, რომელიც, თურმე, თქვენ გაქვთ განზრახვა მისცეთ აფხაზებს.

## დეპეშები.

### ომი.

ლონდონი, 22 ენკენისთვე. უკანასკნელ დღეებში ინგლისის რადიო სადგური ხორსი ავრცელებდა ოფიციალურ ცნობას, რომელიც ეხებოდა კემბრეს და სენ-კანტენის შუა ბრძოლას. ინგლისელებმა დაიჭირეს ჰინდენბურგის წინა სიმაგრენი.

ბრიტანეთის ჯარი პალესტინისკენ მიდის გენ. ალენბის სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება: გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამას ამტკიცებდა ამდენხანს ტყვეთა რაოდენობა. ოსმალები ძლიერ დამარცხებული არიან და უკან იხევენ. როგორც მტერი განიძრახავს წინააღმდეგობას, ჩვენ მას მაშინვე ვამარცხებთ. მდგომარეობა ბევრს გვპირდება. ეხლა ცხადია, რომ გენ. ალენბი გაათავისუფლებს პალესტინის ახალ დიდ ნაწილს ოსმალეთა ბატონობისაგან და სერიოზულ ზარალს მიაყენებს მტერს. ამ ბრძოლისთვის მომზადებამ იერიში შეაჩერა. ჩვენი ჯარი მოხერხებულათ მოძრაობდა. გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე მხოლოდ ღამით, დღე კი ტყეში იმალებოდა და ასე ატყუებდა მტერს.

ბერლინი, 23 ენკენ. ოფიციალური, საღამოს სამხედრო ცნობა. ფრონტებზე ახალი არაფერია.

პარიზი, 23 ენკენ. სამხედრო ცნობა. სენ-კვენტინის სამხრეთით ფრანგებმა უაზამდე მიაღწიეს ვანდეილის და ტრავესის შუა. ფრანგის ლეიტენანტმა კორისონმა ჩამოაგდო ორი ჰაეროპლანი. ეს არის მისი მე-10 და მე-11 საჰერო გამარჯვება.

აღმოსავლეთის ლაშქარი. მაკედონიაში მოკავშირეთა ჯარები იმარჯვებენ. ფრანგების და სერბიელების შეტევამ ვარდართან, მთელ ფრონტზე მტრის უკან დაახევინა. ვარდარის მიდამოებში მოკავშირეთა ჯარები გადავიდნენ მდინარის მარჯვენა ნაპირას. მარცხენა ნაპირზე მათ დაიჭირეს გევგელი და მტრის ყველა პირველი პოზიციები ტბა დოირანამდის. მონასტერ-კირევო-პრილიპის მიმართულებით ბულგარელები უწესრიგოდ იხევენ უკან. აუარებელი სოფლები და საწყობები იწვის. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დიდი სამხედრო მასალა, რომელთა რიცხვი ჯერ არ არის გამორკვეული. მოკავშირეთა ჯარებმა ვარდარის რკინის გზაზე ხელთ იგდეს ორთქლ-მავალები, სამი სავსე მატარებელი და ორი შორს მტყორცნელი ზარბაზანი.

ამერიკის სამხედრო ცნობა. ვევრაში ჩვენმა ნაწილებმა გაიმარჯვეს. ხელთ იგდეს 29 ტყვე და ორი ტყვიის მფრქვეველი.

სოფია. სამხედრო ცნობა. ბიტოლის ჩრდილოეთით და ცრნისთან ჩვენმა ნაწილებმა გაფანტა მტერი, რომელიც ცდილობდა ჩვენს პოზიციებში შემოჭრას.

ცრნის აღმოსავლეთით ძლიერი ბრძოლაა.

გეველის სამხრეთით ინგლისელთა ბატალიონები ცდილობდენ მოახლოვებოდენ ჩვენს სანგრებს, მაგრამ მალე მოვიგერეთ.

### უცხოეთი.

ბუქარესტი, ენკენისთვ. 23. კერძოდ საქონლის გაცვლა გერმანია—ავსტრო-უნგრეთის შუა ერთი მხრით და რუმინიის მეორე მხრით, ისევ განახლდა.

მადრიდი, ენკენისთვ. 23. გაზეთების ცნობით, მინისტრთა საბჭომ განიხილა კუნძულზე სანიტარული მდგომარეობა და გადაწყვიტა დაუყოვნებლივ დაკეტოს საფრანგეთის საზღვარი, რადგანაც გავრცელებულია ტიფი.

### რუსეთი.

მოსკოვი, ენკენისთვ. 22. გაზეთი „იზვესტია“ გვაუწყებს რა დიდი ამბით დაუსაფლავებიათ ნამეფარი ნიკოლოზ მეორე ეკატერინბურგში. მეფის გვამი, რომელიც დასაფლავებული იყო ტყეში იმ ადგილას, სადაც დახვრიტეს ამოიღეს საფლავიდან. გვამის საფლავიდან ამოღებას დაესწრო დასავლეთ ციმბირის მაღალი სამღვდელოება, სახალხო რაზმის დელეგატები და სხვ. გვამი ჩაასვენეს თუთიის კუბოში, რომელიც შემდეგ ჩადგეს ძვირფას კუბოში. კუბო წაიღეს ეკატერინბურგის ტაძარში, საიდანაც წაიღებენ ომსკში სარკოფაგში დროებით დასასაფლავებლათ.

მოსკოვი ტაშკენტიდან, ენკენისთვეს 23. სახალხო კომისართა საბჭოს. ჩვენ გვაქვს ორი ფრონტი: ორენბურგის და ასხაბადის. ერთ და იმავე დროს ორ ფრონტზე ჩვენ იერიშებს ვერ ვაწარმოებთ, რომელიმეზე იერიშს ვაწარმოებთ და მეორეზე—თავდაცვას. გთხოვთ გვაცნობოთ კავკასიის აქეთ კასპიის და საბჭოთა ჯარების მდგომარეობა სიზრანის, უფის და ურალის მიმართულებით, რომ ვიცოდეთ რომელ ფრონტზეა საჭირო იერიში. თურქესტანის რესპუბლიკის სოვნარკომის თავმჯდომარე თედორე კოლეროვი. ორენბურგის ფრონტის მმართველი ზინოვიევი.

ტაშკენტი, მოსკოვიდან. ბონჩ-ბრუევიჩმა სამსახურს თავი დაანება. მე თქვენ განკარგულებას გაძლევდით იერიშები მიგეტანათ ორენბურგისა და ურალის ფრონტებზე და თავდაცვა გეწარმოებიათ ასხაბადის ფრონტზე. ჩვენ მოვახწიეთ ელაბუგამდი და დავიჭირეთ ის. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ არის.

კრასნოვოდსკი, ფორტ-ალექსანდროვსკი და პეტროვსკი ინგლისელთა ხელშია, ბაქო თათრების ხელშია.

## ახალი ამბები.

### მთავრობაში.

○ მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი მოლოცვის დეპეშა მიიღო ლაილაშიდან პოლკოვნიკ ვლადიმერ კერსალაძისაგან: „დღეს, დაბა ლაილაშში შეკრებულთა ლეჩხუმის მაზრის ახალგაზრდობამ დამავალა, რომ გამოგიგზავნოთ მათი აზრი გრძნობა და სურვილი განუსაზღვრელი ალტაცებით. თავგანწირული სიყვარულით და შრომით ჩვენ მივდივართ, რომ დავიცათ სამშობლოს თავისუფლება. მხოლოდ თავისუფალ ერს და არა დამონავებულს შეუძლია, რომ შექმნას უკვდავი გენიოსი შოთა რუსთაველი და მოიპოვოს სხვა მეზობელთა ხალხს შორის სიმპატია და შეთანხმება. ამასთანვე ჩვენ გვწამს, რომ საკეთილდღეოთ ჩვენი სამშობლოისა მთავრობა და საზოგადოება გაუწევენ ჭეშმარიტ დახმარებას, შემწეობას და ჭირისუფლობას ჩვენთან დღეს ღვთის ანაბარათ დატოვებულ ოჯახობას. რომ ისინი არ დაგვეღუპოს საჭიროა სწრაფი მთავრობის განკარგულება და დავალება საზოგადოებისადმი შესახებ დახმარებისა მეტადრე ამ დროს.

○ 22 ენკენისთვეს ე. გეგეჭკორი და გენერალი მაზნიაშვილი სოჭიდან ნოვოროსიისკით ეკატერინოდარში წავიდნენ.

○ მთავრობამ განმარტა, რომ საშუალო სასწავლებლების მოწაფეები სასწავლებლის გამგეობისგან მიცემულ მოწმობის ძალით სამხედრო ბეგარისაგან თავისუფლდებიან და სასწავლო წლის დამლევამდე; 22 წლიანები კი ამ განმარტებით არ შედიან გასანთავისუფლებელთა რიცხვში.

○ გაგრის თვითმართველობას ნება დაერთო, რომ გაგრის კლიმატიური სადგურის თანხიდან, სესხად გაიტანოს ასი ათასი მანეთი, უკვე დამზადებულ ტყის მასალის საექსპლოატაციოდ.

○ ფინანსთა სამინისტრომ აუცილებლად სცნო აქციზი დაადოს ღვინოს, არა მარტო ქალაქებში, არამედ იმ ადგილებშიაც, სადაც, ღვინის წარმოება არ არის.

○ ქ. გორის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის თავმჯდომარის წინაშე, რათა დაუბრუნდეს მას ის ფული 120 ათასი მანეთი, რომელიც გორის მაზრის წითელ გვარდიის შტაბს მისცა სესხის სახით გორში ანარქიულ გამოსვლის ჩასაქრობად, ვინაიდან დღეს გორის თვითმართველობა განიცდის საშინელ გაჭირვებას. მთავრობის თავმჯდომარემ ეს შუამდგომლობა გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრს დასასკვნელად.

### ადმინისტრაცია.

○ საგანგებო რაზმმა შეიპყრო სადგურ ტფილისზე 170 ფუთი შაქარი, 7 ფუთი ჩაი და 82 ფუთი სხვა და სხვა ნივთი.

○ სასურსათო საქმის მინისტრის კაბინეტში მინისტრის ბძანებით შეიპყრეს ქუთაისელი ცნობილი ვაჭარი ნარსია, რომელმაც ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტთან დადებულ პირობის ძალით, ადერბეიჯანში გაიტანა 2 ვაგონი შაქარი და მის მაგიერ არ შემოიტანა პური, რომელიც ხელშეკრულების ძალით უნდა შემოეზიდა. სამინისტროს ცნობებით შაქარი დიდ ფასებში გაუყიდნია. საქმე საბრალმდებლო ზედამხედველობას გადაეცა.

### ბაქო.

○ ტფილისსა და ბაქოს შუა უკვე აღდგენილია სატელეგრაფო დამოკიდებულება. სასწრაფო მუშაობა სწარმოებს ნავთსადენის შესასწორებლათ.

### ლატარიის გარშემო.

○ თელავის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის წარმომადგენელმა გრ. ბურჭულაძემ თელავში გასავრცელებლად წაიღო 25 ათასი მანეთის ბილეთი. ი. ივანიძემ კახეთში გასავრცელებლად წაიღო 5 ათასი მანეთის ბილეთი.

○ სალატარიო კომისიამ გადასწყვიტა საჯარო გასყიდვა მოაწყოს ავლაბარში შესაფერი ჟანრით. ამ ვაჭრობას ხელმძღვანელობას გაუწევს ქ-ნი რამიშვილისა. მონაწილეობას მიიღებენ დამს. არტისტი ვ. აბაშიძე, გ. გედევვანოვ-მერაღიანი, მოხეტიალე მუს. ქურხული, მგოსნები ქუჩიშვილი და ტაბიძე და ქართველი არტისტები. კვირა დილით საბარგო ავტ. გაემგზავრება კავალკადა ავლაბრისკენ და გაჩერდება კახეთის მოედანზე, საცა დაიწყება დღესასწაული. მგოსნები დაიწყებენ ლექსთა კითხვას, მუსიკოსნი შეასრულებენ ნომრებს. შაბათს მთელ ქალაქს შემოივლის ორკესტრი საბარგო ავტ. რომელიც ეროვნულ დროშებით იქნება მორთული. გამოწყობილი იქნება ორკესტრი. ქალაქის გამგეობამ ნება დართო მონაწილეთ მუქთად იმოგზაურონ. კვირას ბილეთები გაიყიდება კლუბებ-კაფესინემატოგრაფებში. ჰაეროპლანიდან გადმოჰყრიან მოწოდების ფურცლებს.

### სხვა და სხვა ამბები.

○ გენ. ალექსეევს როსტოვში განუცხადებია, რომ ის მხოლოდ ბოლშევიკებს ებრძვის და მისი მოქმედების მიზანია მხოლოდ ნამდვილ რუსეთის აღდგენა და მას არაფერი აქვს დამოუკიდებელ წვრილ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

○ ბაქოდან ამ დღეებში დაბრუნდა გერმანელი აფიცერი, რომლის სიტყვითაც იქ 8 მილიონი ფუთი ნავთია დამზადებული.

○ ენკენისთვის 22, მიხეილის პრ., სასტუმრო „სოიუზის“ მესამე სართულიდან გადმოვარდა თავის მოკვლის განზრახვით ხსენებულ სასტუმროს მდგმური მარია გალკინისა და ქვაფენილზე სული განუტევა.

### ხოლერა.

○ უკანასკნელ სამ დღეში საავადმყოფოში მიიყვანეს 14 ხოლერიანი და ათი საეჭვო და სხვა და სხვა განყოფილებებიდან ხოლერიანთა განყოფილებაში გადაიყვანეს 8. მორჩა და საავადმყოფოდან გამოეწერა 30. გარდაიცვალა 17 ხოლერიანი და 2 საეჭვო. 23 ენკენისთვეს იყო 92 ხოლერიანი და 12 საეჭვო.

○ ქალაქში ამ ბოლო დროს ხოლერით სიკვდილი შემცირდა, და მორჩენილთა პროცენტმა იმატა. უკანასკნელ დღეებში გადამდებ სენის სიძლიერე ისეთი აღარ არის, რაიც ორი კვირის წინათ იყო. მტკვრისა და წყალსადენის წყლის განმეორებითი საბაქტეროლოგიო ანალიზით აღმოჩნდა, რომ წყალში ხოლერის ვიბრიონები არ არიან.



## განცხადებები

შ. ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის კოოპერატივის წიგნაკი № 2672. 774 3—2

ელენე მელიტონის ასული ცინცაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 53 ჩოხატაურის უ. პ. დ. სასწავლებლის დამთავრებისა 1918 წ. რაიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 771 3—2

დაკარგულია პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 75310, რომელიც გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. 780 3—2

### სასახლის ბაღში

სექტემბრის 25-დან ოქტომბრის 10-დის გაიყიდება სასახლის ყვავილნარისთვის ზედმეტად მიჩნეული ოთახის სხვა და სხვა მცენარე და ყვავილები. გაყიდვა მოხდება დილის 9 საათიდან 12 საათამდის და ნაშუადღევის 3 საათიდან 6-ის. შესავალი ერმოლოვის ქუჩიდან. 479 3—2

ამელია ფრანცის ასული მულინისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შენახული ფულის კვიტანცია № 3339, მიცემული ტფილისის სახელმწიფო ბანკის მიერ, მომგებიანი ბილეთი № 4058/6. 3—3

ჩერქეზიშვილის ქუჩაზე დაიკარგა საფულე ასი მანეთით, სამხედრო სამსახურში გამოცხადების მოწმობა, მოცემული გორის მაზრის უფროსისაგან, ტრამვაიზე მიმოსვლის უფასო ბილეთი და პურის მისაღები ბარათი, მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნონ საბუთები მე-XI კამისარიატის სამმართველოში მიხეილ ჯიოევის სახელზე. 788 (3—1)

ნიკოლოზ სტეფანეს ძე ტერ-სტეფანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა აღმასრულებელი ფურცელი ქ. ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლისა 1908 წ. 3 ივლ., რომლითაც მას ნაზარ ივანეს ძე ნაზაროვიდან უნდა მიეღო გარდაცვალებულ მარიამ დავითის ასულ პოპოვის სასარგებლოდ 2000 მან. %-ით. 774 (3—1)

### განცხადება.

#### მე-5 ქართული პოლკი

ამით აცხადებს, რომ მას სურს გასცეს იჯარით პურის გამოცხობა სახაზინო ფქვილიდან. იმ პირთ, რომელთაც სურთ იჯარით აღება უნდა გამოცხადდენ პოლკში და წარმოადგინონ 5,000 მან. ბე. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 27-ს ენკენისთვეს, პოლკის შტაბში. ვისაც შეჯიბრებაში სურს მონაწილეობის მიღება, უნდა შემოიტანოს წერილობით განცხადება 27 ენკენისთვეს. პურის გამოცხობის პირობების გაგება შეიძლება პოლკის სამმართველოში სამეურნეო ნაწილის უმფროსთან დილის 10 საათ.—12 საათ.

პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ბალუაშვილი.

სამეურნეო ნაწილის უფროსი პოდპოლკოვნიკი შერვაშიძე.

### განცხადება

#### უნტერ-ოფიცრები და ეფრეიტორები,

რომელთაც სურთ განაგრძონ სამსახური მანგლისის მეორე სანაპირო ლაშქარში, ეროვნების მიუხედავათ, შეუძლიათ ჩაეწერონ ზემოხსენებულ ნაწილში 9 საათიდან 2 საათამდის დღისით. ჯამაგირი მიეცემათ ასი მანეთი თვეში და ამის გარდა ყველა ის, რაც სამსახურით ეკუთვნის ჯარის კაცს: ჭამა-სმა და ტანთსაცმელი.

506 (4—1 სანაპირო ლაშქრის უფროსი პოლკოვნიკი საგინაშვილი.

### განცხადება.

#### ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

ბ. წევრების საყურადღებოდ აცხადებს, რომ მომავალი სამი წლისთვის (1919—1921 წ.) რწმუნებულთა არჩევანი, წესდების მე-66 § თანახმად, დანიშნულია: პირველი რიგის ამომრჩეველთათვის 1918 წ. 17 ნოემბერს, მეორე რიგის ამომრჩეველთათვის—24 ნოემბერს და მესამე რიგის ამომრჩეველთათვის—1 დეკემბერს. არჩევანი მოხდება საზოგადოების შენობაში, პუშკინის ქუჩა, დილის 11 საათზე. კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავათ იმისა რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. იმ პირთა სია, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ რწმუნებულთა არჩევნებში ენკენისთვის 17, გამოკრულია გამგეობის ბინაზე. ამომრჩეველთა გადასათვალიერებლად, რომლებსაც წესდების მე-66 § თანახმად, უფლება აქვთ ორი კვირის განმავლობაში, ე. ი. 1 ოქტომბრამდე, შემოიტანონ გამგეობაში განცხადება, რომ სია სწორი ან სრული არ არის.